პროფესიულიგანათლება

N2·21

ISSN 2587-5019

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

UNDP

აქ შეიძლება იყოს
თქვენი რეკლამა

შინაარსი

2 ნინო ელბაქიძე
რა სურს ბიზნესს
და რა სურს
დასაქმებულს

3 პროფესიული კოლეჯი
ირმა კახურაშვილი
პროფესიული
კოლეჯის ძველი და
ახალი ცხოვრება. კო-
ლეჯი „მოდუსი“

8 ინტერვიუ
შორენა ტყეშელაშვილი
რომელ პროფესიებს
ირჩევენ
აპლიკანტები
პროფესიულ
პროგრამებზე

10 წარმატების ისტორია
ირმა კახურაშვილი
პროფესიულმა
განათლებამ
ბოლომდე
გაამართლა ჩემი იმე-
დი – მანანა
ხორგუანი

13 ინტერვიუ
შორენა ტყეშელაშვილი
პროფესიული
სასწავლებლების
სტუდენტობის
შერჩევის მსურველთა
პროცედურები –
გელა ლომიაშვილი

18 წარმატების ისტორია
ირმა კახურაშვილი
რომ გამოგივიდეს,
უნდა სცადო –
ლექსო ბერიოზაშვილი

21 პროფესიული
განათლების
პედაგოგიკა
მანანა ჯინჭარაძე
პედაგოგიკის
პერსპექტივები და
ტექნოლოგიები
პროფესიულ
განათლებაში

23 საერთაშორისო
გამოცდილება
შორენა ტყეშელაშვილი
„პროფესიული
განათლების
ინტერნაციონალიზა-
ცია საქართველოში“
– ლიკა ღლონტი

26 მოსაზრება
თამარ სანიკიძე
კლიმატგონივრული
სოფლის მეურნეობა
– სოფლის მდგრადი
მეურნეობის
განვითარება

28 ბიზნესი და
პროფესიული
განათლება
მაგდა ბოლოთაშვილი
ბიზნესი და
ადამიანური
რესურსები – სად და
როგორ მოიპოვებს
ბიზნესი საჭირო ადა-
მიანებს?

31 დარგობრივი
ორგანიზაცია
რუსუდან გიგაშვილი
„აგროდუო“ –
პირველი
დარგობრივი
უნარების
ორგანიზაცია
საქართველოში

34 მოსაზრება
ია ერაძე
პროფესიული
განათლება – სწორი
გზა დასაქმებისა და
წარმატებისთვის

36 კორპორაცია და
პროფესიული
განათლება
შორენა ტყეშელაშვილი
GM აკადემია,
რომელიც
თანამშრომელთა
პროფესიულ
განვითარებაზე
ზრუნავს

პროფესიულიგანათლება

N2·21

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხემძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

ყდაზე – მანანა ხორგუანი. კოლეჯი „მერმისი“

ნინო ელბაქიძე.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რა სურს ბიზნესს და რა სურს დასაქმებულს

ნინო ელბაქიძე

პროფესიული განათლება ორ მთავარ აქტორს აკავშირებს ერთმანეთთან: ერთი მხრივ, ბიზნესს ჰპირდება მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, ხოლო, მეორე მხრივ, დასაქმების მსურველს აძლევს შესაძლებლობას, რომ მიიღოს ცოდნა და განვითაროს უნარები, რათა დასაქმდეს ან თვითდასაქმებას მიჰყოს ხელი და ამავდროულად იყოს წარმატებული. ერთი შეხედვით, ეს ძალიან კეთილშობილური მიზანი და მარტივი ფორმულაა, რეალურად კი სულაც არ არის ასეთი მარტივი და ხშირად იმედგაცრუებულს ტოვებს ორივე მხარეს.

ბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ მოთხოვნებს ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს კურსდამთავრებულის კომპეტენციები. დასაქმებული კი იმედგაცრუებით ამბობს, რომ მას სხვა მოლოდინები ჰქონდა და რეალურად სხვა გარემოში მოუწია სამუშაოს შესრულება.

რა სურს ბიზნესს? რა სურს დასაქმების მსურველს? რატომ არ თანხვდება ეს სურვილები უმეტეს შემთხვევაში?

მიზეზების ძიებისას ორივე მხარის მოლოდინებს უნდა გადავხედოთ. როდესაც მოლოდინს ვიჩენთ, მას რეალური საფუძვლები უნდა ჰქონდეს და პირველი შეკითხვა, რაც უნდა დავუსვათ საკუთარ თავს არის შემდეგი – რამდენად რეალისტურია ჩემი მოლოდინი და რა კონტრიბუცია შემიძლია გავწიო იმისათვის, რომ ის გამართლდეს?

ბიზნესისათვის მაღალკვალიფიციურად მომზადებული კადრი უდიდესი ფუფუნებაა და ძალიან საჭიროა მისი განვითარებისათვის. როდესაც ორგანიზაციაში მოდის ახალგაზრდა, მას უნდა ჰქონდეს შანსი წინსვლისა და განვითარებისა, და შეგრძნება, რომ ის იქნება ორგანიზაციისთვის საჭირო ადამიანი. არის იმის ალბათობაც, რომ ის ისე წავიდეს ბიზნესიდან, რომ ვერაფერი გააკეთოს ვერც თავისი და ვერც ბიზნესის განვითარებისათვის. პირველადი მოლოდინები არ უნდა იყოს ძალიან მაღალი და ახალგაზრდას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ჯერ ადაპტაციის, შემდეგ უნარების გამოვლენის და შემდეგ – ინიციატივებისა და ინოვაციების ჩვენების. ახალმოსულს ფრთხილი, კეთილგანწყობილი და მოტივაციის მიმცემი გარემო სჭირდება. თუ ამაში დროისა და ადამიანური რესურსის ინვესტიციას ჩადებს ბიზნესი, შესაძლებელია, რომ დახარჯული რესურსი ათმაგად დაუბრუნდეს ერთგული და სამუშაოს მაღალკვალიფიციურად შემსრულებელი დასაქმებულის სახით.

სამუშაოს მაძიებლისთვის დიდი ნაბიჯების გადადგმა მცირე ნაბიჯების სწავლით იწყება. დასაწყისისთვის მოლოდინები ადეკვატური უნდა იყოს და არ უნდა სცდებოდეს რეალობას. როდესაც ახალგაზრდა მოდის ორგანიზაციაში, მას აქვს შანსი, რომ თავისი საუკეთესო მხარით ეჩვენოს დამსაქმებელს, იქნება ეს შრომის დისციპლინა, პასუხისმგებლობა თუ სხვა სიკეთეები. ახალმოსული მუდმივად მზად უნდა იყოს სწავლისთვის. მას ადგილზე დახვდებიან ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში ან ბიზნესში დიდი ხანია მუშაობენ, პროფესიული თავდაჯერება აქვთ. ახალმოსულმა უნდა გამოიყენოს ეს შანსი – რომ ისწავლოს მათგან. სწავლის მსურველი პატივისცემასა და აღიარებას დაიმსახურებს თანამშრომლების მხრიდან. მას ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს, სანამ რეალურ წარმატებას მიაღწევს, მაგრამ ეს კანონზომიერებაა.

მდგრადი წარმატება დიდი შრომის შედეგად მიიღწევა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან: ბიზნესს სჭირდება კვალიფიციური კადრი და დასაქმების მსურველს – წარმატებული ორგანიზაცია. ეს ორი წინაპირობა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

პროფესიული კოლეჯის ძველი და ახალი ცხოვრება

კოლეჯი „მოდუსი“

ირმა კახურაშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯი „მოდუსი“ ქვემო ქართლის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელია, რომელიც კურსდამთავრებულთა დასაქმებას საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გვთავაზობს.

მისი ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ის პროფესიული განათლების ასპარეზზე სახელობო სასწავლებლის სტატუსით გამოდის, შემდგომში კი მეტალურგიული ქარხნის საბაზო სასწავლებლის როლს ითავსებს.

ის უწყვეტად ემსახურება პროფესიულ სწავლებას 2014 წლამდე. ამ პერიოდიდან სასწავლებელი ახერხებს ავტორიზაციის გავლას პროფესიულ და მოდულურ პროგრამებზე. მცირე ხანში კი „მოდუსი“ პროფესიული განათლების რეფორმის აქტიური მონაწილეც ხდება.

თანამედროვე ეტაპზე მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ სწავლის მსურველებს პროფესიულ, მოკლევადიან მომზადება-გადამზადების და ინტეგრირებულ პროგრამებს სთავაზობს. კოლეჯს აქვს ამბიცია, გახდეს ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც წამყვან პოზიციას დაიმკვიდრებს ქვემო ქართლის რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობითა და ხარისიანი განათლების მიწოდებით.

ამჟამად „მოდუსისთვის“ პრიორიტეტულია სწავლებაში ინოვაციური მეთოდების დანერგვა, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება და შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. წელს კოლეჯში სწავლის სურვილი 500-მდე ადამიანმა გამოთქვა და დაახლოებით 200-მდე ჩაირიცხა.

იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა კოლეჯში, სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის თანამშრომლობით, სწავლებისათვის ერთიანი და საინტერესო სივრცე, „მოდუსის“ ყოფილი დირექტორი კაკი კერვალიშვილი და მისი ამჟამინდელი დირექტორი პავლე თვალიაშვილი გვიამბობენ.

კაკი კერვალიშვილი

ბატონო კაკი, „მოდუსის“ დირექტორად 2016 წლის მაისში დაინიშნეთ, როდესაც პროფესიული განათლების სისტემაში რეფორმა აქტიურ ფაზაში იყო შესული. რა სიტუაცია დაგხვდათ კოლეჯში და რისი შეცვლა მოხერხდა?

– იმ დროს საქართველოში საკვალიფიკაციო ჩარჩო დაუახლოვდა ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროფესიებიც ამის შესაბამისად იცვლებოდა. კურსდამთავრებულებს ახალი კვალიფიკაციები რომ მინიჭებოდათ, აუცილებელი იყო, სისტემა სრულად გადასულიყო მოდულურ პროგრამებზე.

კოლეჯში საკმაოდ მოძველებული ინფრასტრუქტურა დამხვდა. მოდულურ პროგრამებზე გადასასვლელად კი აუცილებელი იყო ავტორიზაციის პროცესის გავლა, რაც მოითხოვდა მინიმალურ სტანდარტებს – ეს ეხებოდა ინფრასტრუქტურულ ნაწილს, აღჭურვილობის ნაწილს და ადმინისტრაციული ხარისხის მართვის ნაწილსაც. ყველაფერი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებდა.

ახალ რელსებზე ოპერატიულად რომ გადავსულიყავით, ძალიან დაგ-

ვეხმარა განათლების სამინისტრო. კოლეჯში რეორგანიზაცია ჩატარდა. კონკურსების შედეგად მოვიდა ახალი უნარებით, მომავლის ხედვით გამორჩეული გუნდი და დავიწყეთ სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის ძირითადი საოპერაციო პროცესების აღმწერი პროცედურების გაწერა, რის მიხედვითაც საქმე უნდა გვეკეთებინა. ამას თან დაერთო რეფორმის ფარგლებში დანერგილი ახალი რეგულაციები.

სამინიტროს დახმარებით ძირითადი სასწავლო კორპუსი სრულად რეაბილიტირდა, გახდა მიმზიდველი და ფუნქციურად დატვირთული. სრულად რეაბილიტირდა კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული საამქროებიც. ეს ყველაფერი დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაციით დაიგეგმა. საამქროები თანამედროვედ გადაიარაღდა და აღიჭურვა. პერიოდულად საგრანტო კონკურსებშიც ვმონაწილეობდით. დავიწყეთ საინტერესო მიდგომების დანერგვა, მაგალითად, პანდემიამდე უკვე ვმუშაობდით დისტანციური სწავლების მიმართულებით, სიმულატორების გამოყენებით. ასევე, ჩვენი კოლეჯი იყო პიონერი, რომელმაც სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორია გამართა და მისი სამრეწველო ქსელიც გააკეთა.

ამავდროულად, მარნეულში პროფესიულ განათლებაზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა. გამოჩნდა დონორი, ვინც ახალი სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების დაწყებისთვის ფულად და ტექნიკურ დახმარებას გაგვიწევდა. დაიგეგმა ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო პროგრამები, ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მოხარული ვარ, რომ წელს უკვე დაიწყება სწავლა მარნეულის ცენტრში.

თქვენი ხელმძღვანელობის დროს კოლეჯის რომელი პროგრამები იყო მეტად მოთხოვნადი?

– სამკერვალო წარმოება, IT-მიმართულება, შემდუღებლის, ავტომექანიკის მიმართულება. ახლაც რუსთავის „მოდუსს“ საქართველოში ყველაზე სრულყოფილი ავტომიმართულების საამქრო და სასწავლო ბაზა აქვს.

გაგვიჭირდა მზარეულის პროგრამის დამატება – რთული იყო ავტორიტეტული მასწავლებლის რუსთავში ჩამოყვანა, მაგრამ ესეც შევძელით.

კოლეჯს აქვს განსხვავებული პროგრამა – მებაღეობა, რომელმაც ძალიან დიდი ინტერესი დაიმსახურა.

ადგილობრივი თვითმმართველობის თხოვნითა და რეკომენდაციით დავამატეთ საბავშვო ბაღის აღმზრდელის პროგრამა.

განსაკუთრებულია, რომ საქართველოში „მოდუსი“ იყო ერთადერთი კოლეჯი, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარედ ქალაქის მერი ჰყავდა. ეს ხაზს უსვამდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსთავისთვის ეს პროფესიული სასწავლებელი. კერძო სექტორიდან საბჭოს უმსხვილესი წარმომადგენელი იყო მეტალურგიული ქარხანა, არასამთავრობო სექტორიდან კი გვყავდა მოწვეული ბატონი პავლე თვალიაშვილი, რომელიც დღეს კოლეჯის დირექტორია.

კოლეჯმა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების დალაგება, ამუშავდება გაცვლითი პროგრამები.

შრომის ბაზარზე თქვენი კურსდამთავრებულები როგორ საქმდებოდნენ?

ამ ნაწილში არის ორი მიმართულება: პირველი – სხვადასხვა საწარმოში გადანაწილება, მეორე – თვითდასაქმება. ჩემთვის ორივე მისაღებია იმიტომ, რომ ორივე თანაბრად ავითარებს ეკონომიკას.

არსებობს მიმართულებები, როდესაც თვითდასაქმებული ვერ იქნები, მაგალითად, შემდუღებლის პროფესიაში. თუმცა არის ისეთი მიმართულებები, მაგალითად, სამშენებლო, როდესაც კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად

ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

კაკი კერვალიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

შეუძლია მოემსახუროს დამკვეთს და მიიღოს შემოსავალი.

გვქონდა ჯგუფური დასაქმების მაგალითიც, როდესაც სამკერვალოს კურსდამთავრებულებმა გააერთიანეს ძალები და ატელიე გახსნეს.

მეტსაც გეტყვით, თავდაპირველად იყო პროგრამები, მაგალითად, ოფისმენეჯერის პროგრამა, რომელიც სტუდენტების მხრიდან ძალიან მაღალ ინტერესს იწვევდა, მაგრამ დამსაქმებელს არ აინტერესებდა. კოლეჯში რომ დავიწყე მუშაობა, ყოველწლიურად 80 ოფისმენეჯერი გვყავდა. კურსდამთავრებულთა უმეტესობა სხვადასხვა ობიექტზე გამყიდველ-კონსულტანტად საქმდებოდა. სტატისტიკის შესწავლის შემდეგ ეს პროგრამა ჩავანაცვლეთ გამყიდველ-კონსულტანტის პროგრამით, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.

ცხადია, არიან ადამიანები, ვისაც პროფესიული განათლება თვითგანვითარებისთვის სჭირდებათ და არ აპირებენ ამ პროფესიით მუშაობას, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დადგება დრო, როცა ცოდნას პრატიკაში გამოიყენებენ. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ მზარეულის პროგრამაზე დარეგისტრირებული უამრავი ადამიანი არ აპირებს რესტორანში მუშაობას და ეს მხოლოდ პირადი ინტერესია.

ასევე მნიშვნელოვანი ამბავია პროფესიული განათლების სკოლაში შეტანა. ეს იყო პროფორიენტაციული ხასიათის აქტივობა, უნარების მოსინჯვის საშუალება, ახალგაზრდებს მომავალში რომ გაადვილებოდათ საკუთარი თავის პოვნა. ამ აქტივობამ პროფესიულ განათლებაზე ბევრი სტერეოტიპი დაამსხვრია. ამ მიმართულებით რუსთავში – 24 სკოლა, შემდეგ კი თეთრიწყაროს სკოლებიც დავფარეთ.

თქვენს გუნდთან ერთად კოლეჯისთვის ბევრი რამ გააკეთეთ, არ გაგიჭირდათ წამოსვლა?

ეს იყო სამსახური, სადაც ყველაზე დიდხანს გავჩერდი. მართლაც ძალიან ვიყავი ჩართული ამ საქმიანობაში, მაგრამ საჭირო იყო ახალი ძალა, რომელიც ახალ ეტაპზე გადაიყვანდა კოლეჯს. ძალიან გამიხარდა, რომ დირექტორად დაინიშნა ადამიანი, რომელიც „მოდუსის“ გულშემატკივარი იყო და მასთან მიმართებით საინტერესო ხედვები ჰქონდა.

კოლეჯი და დუალური სწავლება განუყოფელია. კერძო ბიზნესი კი მას სიფრთხილით ეკიდება. როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის მოგვარება?

ვერ ვიტყვი, რომ დუალური განათლება საუკეთესოა ან ცუდი. დუალური სწავლების სამშობლოში კი – გერმანიაში ასეთ სწავლებას სწავლების საერთო მეთოდოლოგიაში 25%-ზე მეტი წილი არ აქვს.

კოლეჯმა სწავლება დუალურად რომ განახორციელოს, ამისათვის აუცილებელი ფაქტორია ძლიერი კერძო სექტორი. როდესაც კოლეჯი დამსაქმებელთან ერთად ინაწილებს სტუდენტის სწავლას, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. კერძო სექტორი ხშირად კარგად ვერ აცნობიერებს, რაში სჭირდება დუალური განათლების პროცესში მონაწილეობა. ის ფიქრობს, რომ სათავისო კადრს მაინც მოძებნის ბაზარზე ან კუსდამთავრებულები რომ ეყოლება კოლეჯს, იქიდან აარჩევს. ასეთი მიდგომები დღემდე არსებობს, თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნელ-ნელა იცვლება. დამსაქმებლები თვითონ მოდიან და ინტერესდებიან ჩვენი სტუდენტებით.

ეს დამოკიდებულია კოლეჯის იმიჯზე – როცა გენდობიან, თანამშრომლობაც სურთ.

მოვა დრო, როდესაც საწამოები თვითონ შეაწუხებენ სასწავლებლებს სასწავლო პროცესში ჩართულობისთვის. სწორედ მათთვის მზადდებიან ის ადამიანები, ვისზეც სახელმწიფო ამხელა რესურს ხარჯავს. კერძო სექტორის ჩართულობა უაღესად მნიშვნელოვანია როგორც პროგრამების შემუშავებაში, ისე სასწავლო პროცესის განხორციელებისა და შეფასების ნაწილში.

პავლე თვალიაშვილი

ბატონო პავლე, კოლეჯის საკოორდინციო საბჭოს წევრობამდე და დირექტორის პოზიციამდე თქვენ ზრდასრულთა და არაფორმალურ განათლებასთან საკმაოდ მჭიდრო შეხება გქონდათ. რამდენად საინტერესო იქნება თქვენთვის კოლეჯის ხელმძღვანელობაა?

– „მოდუსი“ ერთადერთი საჯარო კოლეჯია ქვემო ქართლში, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა. ამ კოლეჯში მამაჩემი ოსტატი იყო, დედა კი – ტექნიკური სამსახურის თანამშრომელი. მეც, ალბათ, სამი წლის ასაკიდან მქონდა კოლეჯის სტუდენტებთან ურთიერთობა. მინდოდა კიდეც აქ სწავლა, მაგრამ იმ დროს, როცა სკოლა დავამთავრე, პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება კარგ ამბად არ ითვლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი განათლებით ფიზიკოსი ვარ, ასევე საერთშორისო სტატუსის მწვრთნელი, ჩემით შემომესწავლა რამდენიმე ხელობა – ვიდეოკამერით მუშაობა, გაზეთის დაკაბადონება, ლაზერულ აპარატზე ჭრა, გრავირება და სხვა. თუმცა ეს პროფესიული განათლების გზით არ მომხდარა.

კოლეჯის დირექტორის ვაკანსია რომ გამოჩნდა, გამოწვევად მივიღე.

ძალიან კარგი კოლექტივი მყავს. ახლა შემოგვემატნენ ჩვენი კურსდამთავრებულები, უკვე თანამშრომლებად. ვფიქრობ, ამ სივრცეში საინტერესოდ ვიმუშავებთ.

ახლახან მარნეულში ცალკე სასწავლო შენობა გავხსენით. წელს გვეყოლება პირველი ნაკადი ოთხ პროფესიაზე: ბუღალტერია, ელექტრობა, მებოსტნეობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები. ამჟამად ავტორიზაციას გადის მოკლევადიანი პროგრამა „ქართულენოვანი ტურისტული მეგზური“. ასევე ვგეგმავთ ორი პროფესიის დამატებას – მეხილეობის და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის.

რუსთავის „მოდუსში“ დიდი დატვირთვით მუშაობს მშენებლობასთან დაკავშირებული პროგრამები, მაგალითად, მოთხოვნადია თაბაშირმუყაოს მიმართულება, სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია, შედუღება, ელექტრობა. ასევე, ბუღალტერიის კურსი, ინფორმაციის ტექნოლოგიები, სამკერვალო წარმოება, მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილები, მებაღეობა (ინტეგრირებული) და კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული). ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომი, რომელიც სრული ზოგადი განათლების ატესტატს უთანაბრდება.

წელს დავამატეთ ახალი პროგრამა – კულინარიის ხელოვნება. გვაქვს ულტრათანამედროვე სამზარეულო, სადაც პრაქტიკას ადგილზე გადიან. ვფიქრობ, ჩვენს აღზრდილ კადრებზე ძალიან მაღალი მოთხოვნა იქნება. თუმცა არ გვაქვს თვითკმაყოფილების განცდა, მიგვაჩნია, რომ მუდმივად უნდა ვისწრაფოდეთ თვითგანვითარებისკენ.

ვინ არიან კოლეჯის ბენეფიციარები და რატომ უნდა მოუნდეს თქვენთან სწავლა მოსწავლეს ან ზრდასრულს?

– ჩვენი ბენეფიციარები არიან ადამიანები, ვინც უკვე მუშაობენ და უნდათ, რომ კვალიფიკაცია აიმაღლონ, გადამზადდნენ, ასევე, ვინც ცხრა კლასი დაამთავრა, აღარ უსწავლია და უნდა, რომ ისწავლოს, მიიღოს განათლების დამადასტურებელი საბუთი და უმაღლესში გააგრძელოს სწავლა. ასევე, ისინი, ვინც უკვე დაამთავრეს უმაღლესი, მაგრამ რაღაც პროფესია სჭირდებათ. გვყავს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებიც. მათ საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს ვუდგენთ და სწავლის დასრულების მერე ვაძლევთ აღმწერ დოკუმენტს, რა ისწავლეს კოლეჯში.

ქვეყანაში გვაქვს ასეთი პრობლემა – პროფესიის შეძენა არ არის პრესტიჟული საგანმანათლებლო პროცესი, მისი შედეგი კი მოთხოვნადია. მაგალითად, თუ რემონტის რომელიმე ჯგუფში შეხვალთ, ნახავთ, როგორ ფასობს იქ პროფესიის, ხელობის მცოდნე ადამიანი, ხშირად ის მართლაც სანთლით საძებარია.

პავლე თვალიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ასეცაა, თუკი თქვენ პროფესიონალი მზარეული ან ელექტრიკოსი ხართ, რიგი დაგიდგებათ სერვისის მისაღებად.

ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორი ხშირად ამბობს ხოლმე ასეთ ფრაზას: „ყველა საქმეს ცოდნა უნდა“. მაგრამ ერთია ცოდნა, მეორე – უნარები და მესამე – დამოკიდებულება, განწყობები. კოლეჯი არის ადგილი, სადაც ადამიანმა შეიძლება სამივე მიიღოს: იცოდეს, შეეძლოს და უნდოდეს, აკეთოს საქმე. სწორედ ასეთ ადამიანებს აფასებენ საზოგადოებაში და მაღალ ანაზღაურებას უხდიან – ვინც იცის, შეუძლია და აკეთებს.

თანაც პროფესიულ განათლებაში სწავლის მსურველის ასაკის ზღვარი შეიცვალა – მას, სანამ ცოცხალია, შეუძლია ისწავლოს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

რა განსაკუთრებული ხიბლი აქვს თქვენს კოლეჯს? რით არის გამორჩეული?

– გვყავს სტუდენტური საბჭო, რომელსაც ვაძლევთ საშუალებას, რომ იყოს თვითმმართველი სტრუქტურა. თუმცა მას სჭირდება განვითარება. ამიტომ გამოვუყავით სივრცე, მას აქვს კომუნიკაციის არხები, ჰყავს წარმომადგენელი კოლეჯის საბჭოში.

გარდა ამისა, სტუდენტებს ვთავაზობთ საერთაშორისო პროგრამებს ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რომ მოკლევადიანი სასწავლო ვიზიტებით გაემგზავრონ სხვადასხვა, უმეტესად ევროპის ქვეყნებში. რადგან ამ დროს ენა არის ხოლმე ბარიერი, „სიქას“ (საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია) მოხალისეები ინგლისურის ცოდნის ასამაღლებლად ატარებენ შეხვედრებს სტუდენტებთან და კოლეჯის წარმომადგენლებთან.

ასევე, გვაქვს ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც

ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ყველა სტუდენტს შეუძლია დამატებით დაეუფლოს პროფესიებს – დიზაინერის, გრავირების აპარატზე მომუშავის და სხვა. შემდგომში მცირე საწარმოებში ადვილად შეძლებენ სამსახურის შოვნას, ან თვითონვე შექმნიან ასეთ საწარმოს და მიღებულ ცოდნას გაიღრმავებენ.

გვაქვს ასეთი ინიციატივაც – ვაპირებთ კურსების გაციფრებას. მაგალითად, კულინარიის მიმართულებით, ადამიანები თავიანთი რესურსებით საკუთარ სამზარეულოში იქნებიან და და ჩვენი პედაგოგი მათ ვირტუალურად მისცემს ინსტრუქციებს. ეს ძალიან მოსახერხებელი ინება მისთვის, ვინც რუსთავში არ ცხოვრობს, მაგრამ ჩვენს კოლეჯში სწავლის სურვილი აქვს.

გარდა ამისა, ჩვენ ვართ პირველი კოლეჯი, რომლის ინიციატივითაც კურსდამთავრებულთა ასოციაცია ყალიბდება. ყველა ადამიანს, ვინც ჩვენი კოლეჯი დაამთავრა, ექნება შესაძლებლობა, დარჩეს მის გულშემატკივრად. მას შეეძლება პროფესიასთან დაკავშირებით მომავალ სტუდენტებს რეკომენდაცია მისცეს, გახდეს ჩვენი მოწვეული სტუმარი, მისი სამუშაო სივრცე გამოვიყენოთ, როგორც პრაქტიკის ობიექტი ვიზუალური დათვალიერებისთვის და ა.შ. ვფიქრობთ, რომ კოლეჯის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებთან მეგობრობა უნდა გაგრძელდეს.

მარნეულის ახალ ცენტრთან დაკავშირებით რას გვეტყვით, როგორია პროგნოზი, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ის მიმზიდველი იქნება?

– მარნეულში პროგრამების მიმართ უკვე საკმაოდ დიდი ინტერესია, რაც ძალიან გვახარებს. უნდა ითქვას, რომ მარნეულში მსგავსი პროგრამით რამდენიმე კერძო კოლეჯია, მაგრამ ეს არ გვაშინებს. ჩვენ უკვე ვმუშაობთ ადგილობრივ პარტნიორებთან, რომ ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები დავამატოთ. ბაზრის შესწავლა მნიშვნელოვანია. ჩვენი კოლეჯი სამეწარმეო კოლეჯის სტრუქტურაზე გადადის, რაც ითვალისწინებს, რომ გარკვეული მდგარდობისთვის თვითონ იზრუნებს შემოსავლის წყაროზე და შექმნის ისეთ სერვისებსა და პროდუქტს, რომ გაყიდვადი იყოს. სახელმწიფო აფინანსებს სწავლის პროცესს, ამ პროცესში შექმნილი პროდუქტი უნდა იყოს გაყიდვადი.

რაც შეეხება ადგილობრივ პარტნიორებს, ვფიქრობ, რომ მარნეული ძალიან საინტერესოა არა მარტო მებაღეობა-მეხილეობის კუთხით, არამედ ხალიჩების წარმოების მიმართულებითაც. შესაძლოა ქსოვის ახალი პროგრამა გავაკეთოთ, რომლის ფარგლებშიც პროფესიონალი მქსოველები ძველი ხალიჩების ორნამენტებს აღადგენენ.

კოლეჯი „მოდუსი“

რუსთავი, ჟ. შარტავას #4; ტელ: (0341) 25 20 41; ელ-ფოსტა info@modusi.ge;

ფეისბუქი https://www.facebook.com/modusi.ge

რომელ პროფესიებს ირჩევენ აპლიკანტები პროფესიულ პროგრამებზე?

შორენა ტყეშელაშვილი

თამარ კვინიკაძე სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ წარმომადგენელი და პროფესიული განათლების მიმართულების მენეჯერია. ჟურნალ „პროფესიულ განათლებას“ ის ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ გადანაწილდა ბოლო სამი წლის განმავლობაში აპლიკანტთა რაოდენობა პროფესიულ განათლებაში, რა დარგებია პოპულარული, რომელ პროფესიებს ირჩევენ სტუდენტები და რომელ სფეროებში საქმდებიან ყველაზე სწრაფად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები.

ქალბატონო თამარ, გვესაუბრეთ ბოლო სამი წლის მანძილზე აპლიკანტთა რაოდენობაზე პროფესიულ განათლებაში.

– 2020 წლამდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდებოდა წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში აპლიკანტთა რაოდენობის წლიური მაჩვენებელი იყო შემდეგი: 2018 წელს დარეგისტრირდა 17 000-ზე მეტი აპლიკანტი. 2019 წელს ცოტათი იკლო მაჩვენებელმა და 16 000-ზე ჩამოვიდა რაოდენობა. 2020 წელს, პანდემიის პირობებში, 14 300 აპლიკანტი გვყავდა რეგისტრირებული. 2021 წელს კი, მიუხედავად პანდემიური პირობებისა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგიტრირდა 19 000-მდე აპლიკანტი და გვაქვს ფაქტობრივად რეკორდული მაჩვენებელი. ასეთი წარმატება და აპლიკანტთა არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისთვის.

საინტერესოა, ვიცოდეთ პროფესიულ განათლებაში ყველაზე პოპულარული პროფესიების შესახებ.

– 19 000 აპლიკანტიდან, რომლებმაც პროფესიული განათლება აირჩიეს, დიდი მოთხოვნა იყო IT-მიმართულებებზე. IT-მიმართულება არის ყველაზე მოთხოვნადი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ასევე ძალიან მოთხოვნადია მომსახურებისა და ინჟინერიის მიმართულების პროფესიები. IT-მიმართულებებზე გამოვყოფდი ინფორმაციის ტექნოლოგიას და ვებტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად ახალგაზრდები ინტერესდებიან ამ პროფესიებით. ასევე ძალიან პოპულარული და მოთხოვნადია: კულინარია, კონდიტერია, სამკერვალო წარმოება; ინჟინერიის მიმართულებით კი – ელექტროობის პროგრამები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს ფაქტობრივად ყველა მიმართულებას. დიდი მოთხოვნა გამოიკვეთა სამედიცინო მიმართულებით, საექთნო საქმისა და ფარმაციის პროგრამებზე.

როგორია დასაქმების მაჩვენებლი, რომელ პროფესიებში საქმდებიან სტუდენტები წარმატებით?

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ კარგია. 2019 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვით გამოვლინდა 50%-მდე დასაქმების მაჩვენებელი, თუმცა ეს რიცხვი პანდემიით გამოწვეული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე იყო. წინა წლის მაჩვენებელი გაცილებით უფრო დიდი იყო – 62%. სტატისტიკამ გვაჩვენა, რომ ინჟინერიის მიმართულებით ყველაზე მაღალია დასაქმების მაჩვენებელი.

ინტეგრირებულ პროგრამებზე მიღება წელს მეორედ არის. რომელი პროფესიები აირჩიეს

თამარ კვინიკაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

სტუდენტებმა ზოგადი განათლების პარალელურად?

– რაც შეეხება ინტეგრირებულ პროგრამებს, ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა ცხრაკლასდამთავრებულებისათვის. 2020 წელს პროფესიულ, მეოთხე დონის პროგრამებში ინტეგრირდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სტუდენტებს საშუალება აქვთ, პროფესიის დაუფლებასთან ერთად მიიღონ პროფესიული დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების ატესტატთან.

2021 წელს ინტეგრირებულ პროგრამებზე გამოცხადებულია 56 პროგრამა 900-ზე მეტი მისაღები ადგილით. როგორც გამოიკვეთა, ინტეგრირებულ პროგრამებზე რეგისტრაციის დროს აპლიკანტებში მეტად მოთხოვნადია IT-მიმართულების, მომსახურების, სოფლის მეურნეობისა და ინჟინერიის სფეროს პროგრამები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მიმართულების პროგრამებზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

ასევე საინტერესოა დუალური პროფესიული განათლების სტატისტიკური მონაცემები.

წელს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებულ, ანუ ე.წ. დუალურ პროგრამებზე გამოცხადებულია 52 პროგრამა 600-ზე მეტი ადგილით. რეგისტრირებულია ორჯერ მეტი აპლიკანტი. კვლევების თანახმად, ამ ტიპის პროგრამების კურსდამთავრებულთა 50%-ზე მეტი დასაქმებულია.

პროფესიულ განათლებაში ჩართულია 92 სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული დაწესებულება. ავტორიზებულია სხვადასხვა მიმართულების 1000-ზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

2021 წელს შეიცვალა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და ერთიანი მიღების პროცესში ჩაერთვნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებები. მიღება გამოცხადდა 650-მდე პროგრამაზე 13 000-ზე მეტი ადგილით. ბოლო წლებთან შედარებით, ეს გახლავთ უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი.

20 აგვისტოს დასრულდა სტუდენტთა რეგისტრაცია პროფესიულ პროგრამებზე. რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობდა ელექტრონულ პორტალზე vet.emis.ge. რეგისტრაციის პროცესის, ასევე შემდგომი ეტაპების მხარდაჭერას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“.

პროფესიულმა განათლებამ ბოლომდე გაამართლა ჩემი იმედი

ირმა კახურაშვილი

მანანა ხორგუანის ისტორია ადასტურებს, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს, ვისაც სურს, დაეუფლოს ახალ პროფესიას, წარმატების შესაძლებლობას სწორედ პროფესიული განათლება აძლევს, მათ შორის სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

მანანა მკერავის პროფესიის ათვისებას 37 წლის ასაკში შეუდგა, როდესაც საზოგადოებრივი კოლეჯის, „მერმისის“ სტუდენტი გახდა. ახლა ის ამავე კოლეჯის მასწავლებელია და სულ მალე საკუთარი მოდელების ხაზიც ექნება. როგორც თვითონ ამბობს, არც მანამდე უცხოვრია მოსაწყენად: მიიღო უმაღლესი განათლება, დაოჯახდა და სამი შვილის დედაც გახდა. თუმცა არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი იმაზე, რაც შეიძლებოდა კარგად გამოსვლოდა – ფერთა შეხამება, სხვადასხვა სტილის შექმნა. სხვათა შორის, ეს ფიქრი ხელს უშლიდა სასურველი სამოსის შეძენაში, ვერასოდეს ნახულობდა თავისი ოცნების მოდელს.

– მიჭირდა მზა სამოსის ყიდვა – ხან მკლავი არ მომწონდა, ხან ფერი, ხანაც სიგრძეს ვუწუნებდი. მთლიანობაში უკვე წარმოდგენილი მქონდა სილუეტი თავის ფეხსაცმელ-აქსესუარებიანად, მაგრამ რეალობაში ერთიან ანსამბლს ვერ ვაწყობდი.

კერვის სწავლა დიდი ხანი მინდოდა და როგორც კი უფროსი ქალიშვილი ისე წამოიზარდა, რომ მივხვდი, ჩემს დახმარებას შეძლებდა, მიზანიც დავისახე.

თავიდან კერძო კურსების გავლას ვფიქრობდი, მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული სწავლის ხარისხში და თავი შევიკავე.

ბოლოს „მერმისი“ მირჩიეს. გავიგე, რომ აქ შესანიშნავად ასწავლიდნენ ჩემს საოცნებო საქმეს. აღარ დამიყოვნებია. კოლეჯი სახლთან ახლოს იყო, რაც ოჯახიდან მოწყვეტას არ მოითხოვდა. ყველაფერი კარგად აეწყო. ლექციები დილის ათ საათზე მეწყებოდა და ოთხის ნახევრისთვის მიმთავრდებოდა, ბავშვები კი სკოლიდან სამ საათზე ბრუნდებოდნენ.

რას სწავლობდით კოლეჯში და რა გარემო დაგხვდათ იქ – გაამართლა თქვენი იმედი?

მე ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება დავამთავრე. პროფესიული სწავლება ძალიან მრავალმხრივი იყო – ვქმნიდით ესკიზს, შემდეგ ვხვეწდით, ვხატავდით, უნდა შეგვექმნა თარგი, გამოგვეჭრა, ტექნოლოგიურად დაგვემუშავებინა, ბოლოს ნაწარმი წარგვედგინა. სათქმელად იოლია, მაგრამ ეს დიდ შრომას უკავშირდებოდა.

კოლეჯში ორწელიწადნახევარი გავატარე. ფაქტობრივად, ლექციები არ გამიცდენია. სწავლა ნულიდან, თარგებით დავიწყე. არქიტექტორივით სულ დიდი ფორმატებით დავიარებოდი.

პირველ თვეებში სწავლა ძნელია, მაგრამ ამ ეტაპს რომ გაივლი, მიხვდები, რამდენად იოლი ხერხებითაა შესაძლებელი ნაწარმის შექმნა. მომწონდა ის, რომ პედაგოგების მუდმივ მხარდაჭერას ვგრძნობდი. ასი კითხვა რომ გამჩენოდა, ასივეზე დაუზარლად მიპასუხებდნენ.

ჩემ მიერ შერჩეული პროფესიული პროგრამის გავლის შემდეგ სამკერვალო წარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი უნდა გავმხდარიყავი, რომელიც შეძლებდა ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლისა და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და შექმნას.

კოლეჯმა ბოლომდე გაამართლა ჩემი იმედი. ჩემს ჯგუფელებთან ერთად სულ საკერავ მანქანებთან ვიჯექი, ვსწავლობდი საწარმოო უთოს. კერვაში უამრავი დეტალია – სახელო, საყელო, მანჟეტები და სხვა, რაც ცალკე მუშავდება. ასევე, გვასწავლიდნენ ქარგვას, მძივების

ნაკეთობებს, თექას. დატვირთული, მაგრამ საინტერესო პროგრამა გვქონდა.

როგორც ხედავთ, კოლეჯში და მის სახელოსნოებში შემნილია ყველა პირობა, რომ მოამზადო შრომის ბაზრისათვის კვალიფიცირებული კადრი. მთავარია, გქონდეს სწავლის სურვილი და დასაქმება არ გაგიჭირდება.

კერვის გარდა, ვსწავლობდით სხვა საგნებსაც: მათემატიკას, ფსიქოლოგიას, ინგლისურს. დღეში ექვსი ლექცია გვიტარდებოდა.

მე დევნილი ვარ და ერთ-ერთი პროგრამით, როგორც ტენდერში გამარჯვებულს, საკერავი მანქანა გადმომეცა. ეს დიდი სიხარული იყო.

კოლეჯში, სრული პროგრამის გავლის მერე, დიპლომს იღებ. დიპლომების გადაცემის ცერემონიალი საოცრად შთამბეჭდავია.

„მერმისში“ ბევრი განსხვავებული პროფესია ისწავლება. როგორ ახერხებს კოლეჯი ამდენი წარმატებული პროფესიონალის მომზადებას?

– ვფიქრობ, უპირველესად, ეს არის ტრადიციად ქცეული დისციპლინის დამსახურება. აქ ერთი დღეც რომ გააცდინო, ჩამორჩები, რაღაც ინფორმაციას მოწყდები. კოლეჯში ყოველდღე ვითარდები.

ჩემი აზრით, „მერმისი“ უცხოურ კოლეჯებთან მიახლოებული სასწავლებელია. კოლეჯის დირექტორი კარგად იცნობს მოსწავლეების სასწავლო ცხოვრებას. მართლაც მთელ სულსა და გულს დებს სტუდენტების განათლებაში, ცდილობს მათ წახალისებას.

კოლეჯს ჰყავს რჩეული პედაგოგები. ხნიერი ასაკის მიუხედავად, მეც იდეალური მასწავლებელი მყავდა – თავისი ნათელი გონებით და ხედვით.

ჯგუფში 12 სტუდენტი ვიყავით და ყველამ მიაღწია წარმატებას, ყველამ გახსნა თავისი საქმე.

„მერმისი“ უკავშირდება ფაბრიკებს, რომლებიც შემდგომში კურსდამთავრებულებს ასაქმებენ. პრაქტიკებს ფაბრიკებში გადიან. წინასადიპლომო პერიოდში ფაბრიკებში სამთვიანი პრაქტიკა მეც გავიარე.

მანანა ხორგუანი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

კოლეჯი გვთავაზობს მოკლევადიან კურსებსაც დღის მეორე ნახევარში. თუ სტუდენტი მუშაობს, შეუძლია საღამოს ისწავლოს. კოლეჯში სწავლება ორ ცვლაშია.

„მერმისის“ კურსდამთავრებულები კარიერულ წინსვლას აღწევენ. მოგვიყევით, როგორ გახდით პროფესიული სასწავლებლის პედაგოგი და თქვენს საქმეში როგორ განვითარდით?

– თავიდან მასწავლებლობის ცოტა შემეშინდა, მაგრამ სხვა პედაგოგების ძლიერი თანადგომა ვიგრძენი.

პედაგოგობა ბავშვობაში მინდოდა. ერთი მხრივ, ავიხდინე ოცნება და უკვე ჩემი მოსწავლეები მყავს. პარალელურად, ჩემს ერთ-ერთ ყოფილ მოსწავლესთან ერთად, ვქმნი 12 წლამდე ასაკის საბავშვო ხაზის მოდელებს. მაქვს სახელოსნო, სადაც ვმუშაობ. სახლშიც პატარა ოთახი მოვაწყვე და პანდემიაში არ გავჩერებულვარ, სულ ვკერავდი.

ძალიან მიმართლებს მოსწავლეებში. ერთ ჯგუფში მაქსიმუმ 15 სტუდენტი გვყავს. მიხარია, რომ ისინი უცბად უღებენ კერვას ალღოს და მომყვებიან. მასწავლებლისთვის ბედნიერებაა, მოსწავლეები თვალებში რომ შესციცინებენ.

პროფესიული სასწავლებელი იმითაცაა გამორჩეული, რომ ახალგაზრდები აქ გამიზნულად მოდიან, მათ კონკრეტული პროფესიის ათვისება სურთ. ვთქვათ, ფილამწყობმა იცის, რომ ფილის წყობა უნდა ისწავლოს, მკერავმა – კერვა და ამიტომ ნაკლებად ზარმაცობენ.

ცოდნას, რომელიც სასწავლებელში მივიღე, ოჯახშიც მშვენივრად ვიყენებ. კერვაში, ისევე, როგორც სხვა საქმეში, გადამწყვეტია პრაქტიკა. მხოლოდ დაფაზე წერა ვერაფერს მოგცემს. ვისაც კოლეჯში კერვის სწავლა მოუნდება, აქ ყველანაირი მასალით იქნება უზრუნველყოფილი.

მყავდა სტუდენტები, რომლებმაც დიზაინის მიმართულებით სამხატვრო აკადემია დაამთავრეს, მაგრამ მანქანასთან ჯდომის საშუალება არ ჰქონდათ და სადიპლომო ნამუშევრის ესკიზის დამუშავება მკერავთან უწევდათ. ამიტომ კოლეჯში სწრაფ კურსებზე მოვიდნენ, რომ თავად შეექმნათ ის.

მკერავი ყოველთვის შემოქმედია?

– გააჩნია მკერავს. ის ფიზიკურადაც მუშაობს და გონებრივადაც. ის არა მხოლოდ კერავს, სტილსაც არჩევს. კერვაზე ადამიანის ფიზიოლოგიაც ისწავლება – რას და როგორ უნდა მიექცეს ყურადღება, სხეულის რა თავისებურებებს. მაგრამ შეიძლება მკერავი ფაბრიკაში კონკრეტულ დავალებასაც ასრულებდეს, რაც პირადად მე ალბათ გამიჭირდებოდა...

არადა, დღეს ფაბრიკებში მკერავის პროფესია უსაზღვროდ მოთხოვნადია. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით კოლეჯის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, რომლებიც პანდემიაში ადგილობრივადაც მრავლად გაიხსნა, ასევე, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე. ძალიან მოთხოვნადია უთოზე ან თარგებზე მომუშავეც.

ამ სახელოსნოში, სადაც ინტერვიუ გვაქვს, ქალის უნაკლო ეროვნულ ტანსაცმელსაც ვხედავ...

ეს მე-18 საუკუნის სტილის სამოსი კოლეჯის ლექტორებმა ყველა კანონის დაცვით, არქივებში მუშაობის შედეგად შექმნეს. მეც მომწონს თანამედროვე სამოსში ეროვნული დეტალების გამოყენება, მათი გაცოცხლება. ყველა დროს თავისი სტილი აქვს, მაგრამ ყოველ ოც წელიწადში მოდა მეორდება, სტილი ნარჩუნდება და დეტალები იცვლება. კოლეჯში სტუდენტები მოდის ისტორიასაც გადიან. როცა ისტორია იცი, უფრო მრავალფეროვანი ხდები, აღქმა გიუმჯობესდება.

კოლეჯში სწავლის მსურველებს შეუძლიათ აქ რამდენიმე პროფესია შეუთავსონ ერთმანეთს, მაგალითად, კერვა და ტყავის დამუშავება, რომელიც აქ ძალიან კარგად ისწავლება.

კოლეჯისა და პროფესიული განათლების პრიორიტეტი ახალი ცოდნის ათვისება და რეალური დასაქმებაა. ამით ბევრი რამეა ნათქვამი.

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა შერჩევის პროცედურები და მეთოდები

შორენა ტყეშელაშვილი

წელს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა უპრეცედენტო რაოდენობაა. 19 000-მა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მიიღოს პროფესიული განათლება. ეს სერიოზული გამოწვევაა სისტემისათვის, რადგან შესაძლებელია, რომ რიგ პროფესიებში მაღალი კონკურენცია გამოვლინდეს. რას იტყვით ამაზე?

წელს პროფესიული განათლების მიღების სურვილი 19 000-მა ადამიანმა გამოთქვა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კონკურენციის ზრდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულ პირებს მიანიშნებდა, რომ საჭირო იყო, შემუშავებულიყო აპლიკანტთა შერჩევის ახალი კონცეფცია. ახალი კონცეფციისა და შერჩევის ახალი მეთოდების მიზანია, განსაზღვროს, რამდენად დაძლევს აპლიკანტი კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამას – რომ ასევე იწინასწარმეტყველოს მისი აკადემიური მოსწრებაც. გელა ლომიაშვილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროგრამების ხელმძღვანელია. „პროფესიულ განათლებას“ ის ესაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სტუდენტთა შერჩევის ახალ კონცეფციაზე და მის ეფექტურობაზე.

– პირველ რიგში, ძალიან გვიხარია, რომ ამდენმა ადამიანმა მოგვანდო თავისი ცხოვრების პროფესიის არჩევანი და პროფესიული განათლება აირჩია. ჩვენ ველოდით პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდას, რადგან წინარე პერიოდში მზარდი ინტერესი მანიშნებელი იყო იმის, რომ აშკარად იზრდებოდა მსურველთა რაოდენობა და ამისთვის მზადაც ვიყავით. კონკურენციის ზრდა ყოველთვის იყო პროფესიული განათლების სისტემაში გარკვეულ პროფესიებზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ახალი მეთოდოლოგია ითვალისწინებს იმ გარემოებებს, როდესაც პროგრამებზე ჩაბარების მსურველთა რაოდენობა ბევრად აღემატება გამოცხადებული ადგილების რაოდენობას. ამიტომ, როდესაც შერჩევის ახალი კონცეფცია შევიმუშავეთ, ეს ფაქტორიც გავითვალისწინეთ. თუმცა შერჩევის დროს ეს არანაირ პრობლემას არ ქმნის, იმიტომ, რომ მთავარია, სწორი მექანიზმები გვქონდეს - ერთი მხრივ, გავითვალისწინოთ სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები, მეორე მხრივ, დავამკვიდროთ შერჩევის საერთაშორისო სტანდარტები. ვფიქრობ, როდესაც ეს ფაქტორები გათვალისწინებულია, ადამიანების რაოდენობა აღემატება თუ არა ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობას - აღარ არის მნიშვნელოვანი. ძალიან გვიხარია, რომ ბევრი ადამიანი დაინტერესდა პროფესიული განათლებით, რადგან კონკურსი შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ გამოვცადოთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის ახალი კონცეფცია და მეთოდები. სხვა შემთხვევაში, ძალიან რთული გახდებოდა მეთოდების ეფექტურობაზე საუბარი, თუკი მსურველებს შორის კონკურენცია არ იქნებოდა.

სტუდენტების შერჩევის პროცედურები ერთგვაროვანი არ არის. გთხოვთ, განგვიმარტოთ, შერჩევის რამდენნაირი პროცედურა არსებობს და რა შემთხვევაში გამოიყენება გამოცდების ცენტრის, ხოლო რა შემთხვევაში – შერჩევის განსხვავებული მეთოდები?

– წელს ჩვენ შევიმუშავეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი და მანამდე, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით – პრო-

ფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ახალი კონცეფცია, რომელიც სრულიად განსხვავებულ მეთოდოლოგიას ეყრდნობა. კონცეფციის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ძირითადი მიზანია, განისაზღვროს, რამდენად დაძლევს აპლიკანტი პროგრამას და რამდენად კარგად იწინასწარმეტყველებს შერჩევის მეთოდი სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. კონკრეტული პროგრამისთვის რელევანტური განსხვავებული შერჩევის მეთოდი შეიძლება იყოს. მთავარია, ის მორგებული იყოს პროგრამის შინაარსზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის მთავარი მიზანია იმ სტუდენტების იდენტიფიკაცია, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ჩვენებას. კონცეფციის მომზადების პირველ ეტაპზე იდენტიფიცირდა შერჩევის ის მეთოდები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა შერჩევისას, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. იმის დასადგენად, თუ კონკრეტული პროგრამისთვის რომელი მეთოდი იქნებოდა ყველაზე რელევანტური, გავითვალისწინეთ პროგრამის რიგი მახასიათებლები. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია პროგრამის დონე. როგორც მოგეხსენებათ, პროფესიული განათლების საფეხურზე ჩვენ გვაქვს მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. თითოეული საფეხურის პროგრამა თავისი მიზნებიდან, კომპეტენციებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. მეხუთე საფეხურის უმაღლესი პროფესიული პროგრამები განსაზღვრული სწავლის შედეგების დასაძლევად სტუდენტისგან მოითხოვს ან კომპლექსურ უნარებს, ან კონკრეტულ საგნობრივ ცოდნას.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, თუ რომელი მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტულ პროფესიულ პროგრამაზე, არის წინარე საგნობრივი ცოდნა. პროფესიული განათლების საფეხურზე ძირითადად მეხუთე დონეზე გვაქვს ისეთი პროგრამები, სადაც განსაზღვრული სწავლის შედეგების დასაძლევად სტუდენტს სჭირდება კონკრეტული საგნის ცოდნა. ძირითადად ეს არის საბუნებისმეტყველო საგნები: ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა. ამასთან, პროფესიულ განათლებაში ჩვენ ვხვდებით ისეთ პროგრამებს, რომლებიც თავისი არსიდან გამომდინარე, მოითხოვს კომპლექსური ან ზოგადი უნარების ფლობას. გვაქვს ისეთი პროგრამებიც, სადაც წამყვანია შესაძლებლობები, რომელთა ფლობის გარეშეც სტუდენტს გაუჭირდება პროფესიაში დახელოვნება და პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულება. ყველაზე ხშირად მე-3 და მე-4 საფეხურზე ვხვდებით ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სადაც გარდა წინარე სასკოლო განათლებისა, არ არის გადამწყვეტი კონკრეტული საგნის ან კომპლექსური უნარების ფლობა და აპლიკანტის წარმატების ძირითად განმსაზღვრელს წარმოადგენს პროფესიის დაუფლებისადმი მაღალი მოტივაცია. მთლიანობაში, იმის იდენტიფიცირებისთვის, თუ პროფესიულ პროგრამაზე შერჩევის რომელი მეთოდი შეიძლება იყოს ყველაზე რელევანტური სტუდენტის წარმატების წინასწარმეტყველებისთვის, არის პროგრამის შინაარსი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს აპლიკანტს და რომელიც პირდაპირ მინიშნებებს იძლევა შერჩევის პროცესში შესაფასებელ კონსტრუქტებთან დაკავშირებით. ამ პრინციპების გათვალისწინებით, შერჩევის განსხვავებული მეთოდები შევთავაზეთ განსხვავებულ პროგრამებს, რაც წინა წლებში ნამდვილად გვაკლდა. შერჩევის მეთოდმა უნდა იწინასწარმეტყველოს, რამდენად წარმატებული იქნება სტუდენტი და სწორედ ამიტომ, შერჩევის განსხვავებული მეთოდები გვაქვს სხვადასხვა პროგრამისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევისას რა მეთოდები გამოიყენეთ?

– **ზოგადი უნარების ტესტი** – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული და ორგანიზებული ეს ინსტრუმენტი გამოიყენება იმ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასაძლევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპლექსური უნარების ფლობა, როგორიცაა ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება, რაოდენობრივი მსჯელობის უნარები, წაკითხული ტექსტის ანალიზი და სინთეზი და ა.შ. ასეთი პროგრამებია, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვა, საბაჟო საქმე, სკოლამდელი აღზრდა და ა.შ.

ტესტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმია, ბიოლოგია) – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტები, რომლებიც მომზადებული და ორგანიზებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, გამოიყენება იმ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასაძლევად აუცილებელია კონკრეტული საბუნებისმეტყველო საგნების სრული საბაზო განათლების დონეზე ცოდნა. ასეთი პროგრამებია, მაგალითად: ფარმაცია, საექთნო განათლება, ვეტერინარია და ა.შ.

გელა ლომიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ცენტრალიზებული, ეროვნული პროფესიული ტესტირება გამოიყენება მხოლოდ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. დანარჩენი პროგრამების შემთხვევაში, შერჩევას ახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებმაც კონცეფციის შესაბამისად, აპლიკანტთა შერჩევისას შემდეგი მეთოდები გამოიყენეს:

მოტივაციური გასაუბრება – აღნიშნული მეთოდი მე-3 და მე-4 დონის პროგრამების ყველაზე დიდ რაოდენობაში გამოიყენება. მეთოდის გამოყენება უპრიანია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასაძლევად, გარდა მოთხოვნილი განათლების დონისა, არ არის აუცილებელი კონკრეტული საგნის ცოდნა ან კომპლექსური უნარების ფლობა. აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა წარმატების საუკეთესო პრედიქტორს წარმოადგენს მოტივაცია, რომელიც ძალიან კომპლექსური კონსტრუქციაა და სიღრმისეული შეფასების ინსტრუმენტით ფასდება. რეალურად, აპლიკანტის მოტივაცია არაერთ ასპექტში ვლინდება, როგორიცაა, მაგალითად, ინფორმაცია პროფესიის შესახებ, პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული კარიერული გეგმები, პროფესიული ცნობისმოყვარეობა, პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება და ა.შ.

წელს მოტივაციური გასაუბრებისთვის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად შევიმუშავეთ შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შეფასების კომისიის საქმიანობა გამარტივდა, დაიზოგა შერჩევის ადმინისტრირებისთვის საჭირო დრო და ამასთან, მინიმუმამდე დავიდა სუბიექტურობასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, როგორიცაა: საოფისე საქმე, საფინანსო სერვისები, შედუღება, საბიბლიოთეკო საქმე და ა.შ.

შემოქმედებითი ტური – აღნიშნული მეთოდი, ერთი მხრივ, ძალიან ინოვაციურია და მეორე მხრივ, ძალიან სახალისო და საინტერესო აპლიკანტებისთვის. შემოქმედებითი ტური, როგორც შერჩევის მეთოდი, გამოიყენება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აზროვნება, იდეების გენერირება, ორიგინალური ხედვების არსებობა და ა.შ. წელს გავზარდეთ იმ პროფესიათა რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც შემოქმედებითი მიმართულებები. აღნიშნული საინტერესო მეთოდი გამოიყენება ისეთ პროფესიულ პროგრამებზე, როგორიცაა: ფოტოგრაფია, ტანსაცმლის დიზაინი და კერვა, დეკორატიული ხელოვნების პროგრამები, სამუსიკო ხელოვნების პროგრამები და ა.შ.

სპეციალური ტურები – სპეციალური ტური განკუთვნილია იმ პროფესიული პროგრამებისთვის, სადაც გარდა უნარებისა და მოტივაციისა, წამყვანია კონკრეტული შესაძლებლობებისა და ფიზიკური მონაცემების ფლობა. მომავალში ვაპირებთ, აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოვიყენოთ სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიმართულებებში. წელს ეს მეთოდი საპილოტედ გამოიყენა ზოგიერთმა კოლეჯმა ისეთ პროგრამებზეც, როგორიცაა, მაგალითად, კულინარია და კონდიტერია.

შიდა ტესტირება – პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ზოგიერთმა პსდ-მ გამოიყენა შიდა ტესტირება, რომელიც პასუხობდა კონკრეტული პროგრამის მოთხოვნებს. აღნიშნულის შესაბამისად, ზოგიერთმა პსდ-მ შერჩევისას გამოიყენა ისეთი შიდა ტესტები, რომლებიც ზომავდნენ აპლიკანტის ცოდნას უცხო ენაში, მათემატიკაში და ა.შ.

პრაქტიკული სამუშაო შემთხვევები – ე.წ. ქეისები დაახლოებით 7 წელია, ძალიან ეფექტურად გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამებზე, რომლებსაც პსდ-ები ახორციელებენ გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კოორდინაციით. ინსტრუმენტის სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ის ძალიან კარგი პრედიქტორია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების წინასწარმეტყველებისთვის და შესაბამისად, ძალიან დიდი ყურადღება მიექცა ადგილობრივი საუკეთესო მაგალითების განზოგადებას. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მეთოდის კონსტრუირება სირთულესთან და მაღალ კომპეტენციებთან არის დაკავშირებული, საპილოტედ აღნიშნული მეთოდის დანერგვა დავიწყეთ სოფლის მეურნეობის მე-3 და მე-4 დონის პროგრამებზე. ამასთან, მეთოდი კვლავ გამოიყენება UNDP-ის მიერ ორგანიზებულ ყველა დუალურ პროგრამაზე.

წელს აღნიშნული ინსტრუმენტი დაიხვეწა და „ფურცლისა და კალმის“ პრაქტიკიდან გადავედით ელექტრონულ ინსტრუმენტზე. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა ელექტრონული პლატფორმა, სადაც აპლიკანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დავალება არა ნაბეჭდი ფორმით, არამედ ელექტრონულად შეესრულებინათ.

პირველადი შერჩევის მეთოდები – როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ, არსებობს პროფესიული პროგრამები, სადაც სტუდენტთა მომართვიანობა ძალიან მაღალია. პროგრამებზე, სადაც ერთ ადგილზე დაახლოებით 20-25 რეგისტრანტია, ცხადია, ფიზიკურად შეუძლებელია ყველა მსურველთან მოტივაციური გასაუბრების ჩატარება. აღნიშნული აღემატება პსდ-ის შესაძლებლობებს და ძალიან დიდ დროსთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, გამოიყენეს პირველადი შერჩევის, ე.წ. ფილტრაციის ტესტები. ნაწილმა გამოიყენა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საბაზო ზოგადი უნარების ტესტი, ხოლო ნაწილმა თავად შეძლო ტესტის შემუშავება და ადმინისტრირება. ასეთ პროგრამაზე შერჩევა ორეტაპიანია – ტესტის გავლის შემდეგ საუკეთესო შედეგების მქონეები გადადიან შერჩევის ძირითად მეთოდზე, როგორიც შეიძლება იყოს გასაუბრება, შემოქმედებითი ტური და ა.შ.

ინტეგრირებულ პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის მეთოდია მოტივაციური გასაუბრება, ხოლო დუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე წელს შერჩევის პროცედურები არ შეცვლილა და შერჩევის პროცესში მთავარი ჩართული მხარე პარტნიორი ორგანიზაციაა.

რას ნიშნავს პრაქტიკული შემთხვევების ანალიზი, რა უნარებს ზომავს შერჩევის ეს მეთოდი?

– პრაქტიკული შემთხვევის ანალიზი, როგორც ინსტრუმენტი, აპრობირებული მეთოდია როგორც შერჩევის დროს, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში. ამ შემთხვევაშიც იზომება საბაზო და ზოგადი უნარები, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მაგალითად, ზოგადი უნარების ტესტების შემთხვევაში, ტესტი მაინც წინასწარმეტყველებს იმას, რომ ამ ადამიანს ზოგადი უნარები აქვს და ალბათ კარგად შეძლებს პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას. პრაქტიკული სამუშაოების შემთხვევები უკეთესი იმიტომ არის, რომ პირდაპირ ვხედავთ, რომ აპლიკანტი დარგობრივ მოცემულობას ძალიან კარგად უმკლავდება და არის მოლოდინი იმისა, რომ მას წარმატება ექნება. აღსანიშნავია, რომ შერჩევის ამ მეთოდს აქვს უფრო მაღალი პრედიქტული ვალიდობა. პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: პირველი – წაკითხული ტექსტის გააზრება (როგორ კითხულობს აპლიკანტი დარგობრივ ტექსტს), შემდეგ გვაქვს ტიპური ტექსტის გააზრება, როგორ შეუძლია ადამიანს დარგობრივი მასალის გაცნობა და გაანალიზება. პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევა კომპლექსურ უნარებს ზომავს, მაგალითად, ადამიანმა როგორ უნდა მოძებნოს გამოსავალი, რომელიც არის დარგთან დაკავშირებული. მას ევალება იმსჯელოს, მიიღოს გადაწყვეტილებები, პრაქტიკულ შემთხვევაში რომელიმე კონკრეტული პრობლემა აღმოაჩინოს და ა.შ. შერჩევის ეს მეთოდი სოფლის მეურნეობის პროგრამებზე საპილოტედ გვაქვს წელს მხოლოდ მესამე და მეოთხე დონეზე. ჩვენ საფუძვლიანად ვიკვლევთ აპლიკანტთა მოტივაციას და ამაშიც გაეროს განვითარების პროგრამა გვეხმარება.

სტუდენტთა შერჩევის რომელი მეთოდია უფრო ეფექტიანი, თქვენი აზრით?

– არ არსებობს შერჩევის ერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ეფექტური იქნება ყველა პროგრამისთვის. შერჩევის მეთოდის ეფექტურობა ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პროგრამასთან ვიყენებთ მას. ვფიქრობ, ყველა მეთოდი, რომელიც წელს გვაქვს შეთავაზებული ამ ეტაპისთვის, თითოეული პროგრამისთვის რელევანტურია. თუმცა შერჩევის

პროცესში ჩვენ პირველად ვნერგავთ, პარალელურად ვიკვლევთ და პროცესის დასრულების დროს გვექნება კვლევის ანგარიში, რომელსაც დამოუკიდებელი ჯგუფი მოამზადებს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

მომავალი წლისთვის ვგეგმავთ, ზოგადი უნარების ტესტი ამოვიღოთ პრაქტიკიდან, რადგან ვფიქრობთ, რომ პროფესიული განათლების სპეციფიკას ნაკლებად ეხება. ამიტომ გვინდა, შემოვიღოთ უფრო რელევანტური ტესტები მეხუთე დონის პროგრამებისთვის, რომლებიც გაზომავს უფრო მეტად გამოყენებით უნარებს. შემდეგი წლიდან დავიწყებთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ამ საკითხზე მუშაობას, უფრო გამოყენებადი, საგნობრივი ტესტების გაკეთებას და ამავდროულად გვექნება არა მარტო ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა. ზოგადი უნარების ნაცვლად გვინდა, შემოვიღოთ ორი ახალი ინსტრუმენტი – ერთი იქნება რაოდენობრივი მსჯელობის უნარების ტესტი და მეორე – წიგნიერების ზოგადი ინსტრუმენტი. ჩვენ გვაქვს რიგი პროფესიული პროგრამები, სადაც ზოგადი წიგნიერებაა საჭირო და წიგნიერების ეს ინსტრუმენტი ძალიან კარგი საშუალებაა როგორც შერჩევის, ისე მიმდინარე და განმსაზღვრელი შეფასებების დროს და ზომავს ადამიანის ზოგადი წიგნიერების ბაზას. კორესპონდენტის პროგრამის განმახორციელებელი პსდ-ები უკვე მოიაზრებს წიგნიერების ინსტრუმენტის გამოყენებას, ასევე ფოტოგრაფიაში, მედიისა და ტელეხელოვნების მიმართულებით და ა.შ.

შერჩევის მეთოდებზე და ჩარიცხვის წესზე დაკვირვებამ ასევე დაგვანახა, რომ ჩვენი კვალიფიკაციები გადასახედია. სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვხვდება მეოთხე დონეზე ისეთი პროგრამები, სადაც კონკრეტული საგნის ცოდნა მოეთხოვება სტუდენტს, მაგრამ საგნობრივი ტესტები აქ არ დავუშვით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ რიგი პროგრამები გადამუშავდება და ეს, რა თქმა უნდა, ასახვას ჰპოვებს შერჩევის მეთოდების ახლებურ განაწილებაზე.

მოხარული ვართ, რომ შერჩევის მეთოდები პროგრამისთვის რელევანტური გახდა და ვახერხებთ იმ სტუდენტების იდენტიფიცირებას, რომლებიც წარმატებით შეძლებენ ამ თუ იმ პროგრამაზე სწავლას. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შერჩევის პროცესის წარმართვა საკუთარ ხელში აიღო პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რაც დეცენტრალიზაციის მიმართულებით გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯია. შიდა შერჩევის ყველა მეთოდი დეცენტრალიზებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში – ეს იქნება შემოქმედებითი ტურები, მოტივაციური გასაუბრებები, სპეცტურები თუ სხვა. კომისიის წევრები, კოლეჯის წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, მასწავლებლები ჩართულები არიან შემუშავების პროცესში და კარგი ის არის, რომ მასწავლებლებმა უკვე მიიღეს გამოცდილება, თუ როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები. მასწავლებლებს მიღებული გამოცდილება დაეხმარება არა მარტო შერჩევაში, არამედ სწავლების პროცესში, მიმდინარე შეფასების განმსაზღვრელ პროცესში და ა.შ.

მონაწილეობს თუ არა კერძო სექტორი სტუდენტთა შერჩევაში?

– გარდა ცენტრალიზებული ტესტირებისა, ყველგან, ყველა შერჩევაში, კომისიის წევრი არის კერძო სექტორის წარმომადგენელი. ჩარიცხვის ახალ წესში ჩავწერეთ რეკომენდაცია და აუცილებელი მოთხოვნა, რომ სტუდენტის შერჩევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არასდროს არ იღებს კოლეჯი და კერძო სექტორი ყოველთვის არის ჩართული შერჩევის პროცესში. სტუდენტებს არ ვარჩევთ ჩვენთვის, მათ ვარჩევთ კერძო სექტორისთვის და მნიშვნელოვანია, დარგი იყოს ჩართული აქტიურად. ვფიქრობთ, შემდეგ წლებში კიდევ უფრო გავზრდით შერჩევის პროცესებში კერძო სექტორის ჩართულობას არა მარტო კომისიებში, არამედ, სასურველია, თავად ინსტრუმენტების შემუშავების პროცესშიც.

როგორია თქვენი პროგნოზი პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობასთან დაკავშირებით?

– ბოლო წლების სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს იმას, რომ პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნა იზრდება. ვფიქრობ, რომ ეს სტატისტიკა მომავალში აუცილებლად გაგრძელდება. მით უფრო, რომ ახლა რეფორმის ეტაპზე ვართ, ბევრი სიახლე გვაქვს და ესეც ხელს შეუწყობს იმას, რომ აპლიკანტების რაოდენობა გაიზარდოს. ჩვენ პროფესიული განათლების მომართვიანობას ვითვლით მხოლოდ სადიპლომო პროგრამებზე, როცა არსებობს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები და ისინიც არიან პროფესიული გადამზადების პროვაიდერები. როდესაც ვამბობთ, რომ 19 000 ადამიანი შემოვიდა, ეს ნიშნავს, რომ ერთ სერვისზე შემოვიდა 19 000 ადამიანი, პროფესიულ განათლებას კი აქვს მეორე მიმართულება – მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები. რეალურად, მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა გაცილებით მეტი გამოდის და ჩვენ კიდევ ველოდებით, რომ რაოდენობა მოიმატებს, რისთვისაც აქტიურად ვემზადებით.

რამე რომ გამოგივიდეს, უნდა სცადო

ირმა კახურაძვილი

სამი წელია, ლექსო ბეროზაშვილი თბილისში კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მასწავლებელია. ამბობს, რომ ეს მისთვის იდეალური პროფესიაა. მანამდე კი ლექსო ამავე კოლეჯის სტუდენტი იყო. აკადემიაში ჩაბარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ მაშინდელ დამსაქმებელთა უმეტესობა ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნას მოითხოვდა. გარდა ამისა, ეს კოლეჯი კურსდამთავრებულთა დასაქმებით გამოირჩეოდა. ბოლო მონაცემებით, 2018 წელს დასაქმების მაჩვენებელი 96%-ს უტოლდებოდა. „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიამ“ მთლიანად შეცვალა ლექსო ბეროზაშვილის პროფესიული ვექტორი და მასწავლებლობაში საკუთარი თავი აპოვნინა.

– 2002 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავირიცხე. თუმცა ამ მიმართულებით არასდროს მიმუშავია. უნივერსიტეტის მერე ბევრი სამსახური გამოვიცვალე და სამწუხაროდ, არცერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც დამარწმუნებდა – ეს ჩემი საქმეა.

2015 წელს ბოლო სამსახური ისე მივატოვე, გეგმაც კი არ მქონდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა. „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაზე“ ნათესავისგან გავიგე. გავითვალისწინე მისი რჩევა და ქსელის ადმინისტრატორის კურსზე დავიწყე სწავლა. კოლეჯში ჩაბარებიდან ერთ თვეში მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო გარემოში აღმოვჩნდი. მომეწონა ახალი ტექნოლოგიები და მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ამ ყველაფერთან არანაირი შეხება არ მქონია, ნახევარ წელიწადში, კოლეჯში სწავლის პარალელურად, ახალი პროფესიით ერთ-ერთ დიდ კომპანიაში დავსაქმდი და უფროსი ტექნიკური სპეციალისტის პოზიციამდეც კი მივედი.

რამდენი წელი ისწავლეთ პროფესიულ სასწავლებელში და რით მოგხიბლათ იქ სწავლამ?

– კოლეჯში ორწლიანი პროგრამა გავიარე. თუმცა იქ ერთწლიანი პროგრამებიც არის. მომეწონა ის, რომ ძალიან მოკლე დროში შეგეძლო ახალი პროფესიის ათვისება და მალევე დასაქმება. დღეს კოლეჯში ინტეგრირებული პროგრამებიცაა, როდესაც სწავლის დაწყება მეცხრე კლასიდან შეგიძლია. კოლეჯის მერე რეალური პროფესია გაქვს, იწყებ მუშაობას და თუ მოინდომებ, შეგიძლია უნივერსიტეტშიც გააგრძელო ცოდნის მიღება და და თვითონვე დააფინანსო შენი განათლება.

ინფორმაციული ტენოლოგიების აკადემიაში მართლაც საუკეთესო გარემოა. ამის ნახვა ნებისმიერს შეუძლია. კოლეჯი თანამედროვედ აღჭურვილია, გვაქვს ძვირად ღირებული აპარატურა, რამდენიმე ლაბი, ინდივიდუალური კომპიუტერები, 3D პრინტერი, გრავირების აპარატი და სხვ. ყველა პირობაა შემნილი, რომ ისწავლო.

კოლეჯს კარგი პედაგოგები ჰყავს. მე რომ ვსწავლობდი, ისინი თითქმის ჩემი ტოლები იყვნენ. იმ დროიდან დავმეგობრდით და ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება.

რამდენადაც ვიცი, სწავლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ადმინისტრაციამ თავად შემოგთავაზათ პედაგოგობა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– იმის გამო, რომ თავდაპირველად ჩემთვის ეს სფერო სრულიად უცხო იყო, ბევრი შრომა მომიწია. ამ ყველაფერს დღეში რამდენიმე საათს ვუთმობდი.

კიდევ ისიც, რომ ერთია, იყო მცოდნე და მეორე – გეხერხებოდეს ცოდნის სხვისთვის გადაცემა. შე-

ლექსო ბერიოზაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

საძლოა კოლეჯის ადმინისტრაციამ ჩემში ეს დაინახა, მიჭირს ამაზე საუბარი... ფაქტია, რომ მათ შემოთავაზებაზე წუთიც არ მიფიქრია, დავთანხმდი და მალევე წამოვედი კომპანიიდან, სადაც ვმუშაობდი.

რა განცდაა, როდესაც ნაცნობ აუდიტორიაში არა სტუდენტად, არამედ მასწავლებლად ბრუნდები?

– პირველად რომ შედიხარ აუდიტორიაში სულ სხვა სტატუსით, მარტივი არ არის, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მინერვიულია. ყოველთვის მომწონდა მასწავლებლის პროფესია. სკოლაშიც კი მითხოვია მასწავლებლებისთვის, რომ საგნებში, რომლებიც მომწონდა, გაკვეთილი მე ჩამეტარებინა. ცხადია, ამას გამოცდილებას ვერ დავარქმევ, მაგრამ მასწავლებლობის სურვილი ყოველთვის მქონდა და ახლა ძალიან მიხარია, რომ ვაკეთებ იმას, რისი კეთებაც მსიამოვნებს.

რაც შეეხება მასწავლებლობას, რა თქმა უნდა, მეორე ლექცია გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველი. რაც დრო გავა, სწავლების პროცესიც გაუმჯობესდება. ჩემს სტუდენტებთან ერთად, მეც მეტ ცოდნას ვიღებ. ყოველდღე რაღაც ახალს ერთად ვსწავლობთ.

ამ ეტაპზე რამდენიმე მოდულს ვასწავლი: ინფორმაციის ტექნოლოგიას, ანუ კომპიუტერის აპარატურულ და ასევე, პროგრამულ მხარეს, ოპერაციული სისტემების გადაყენებას, ინფორმაციულ და აპარატურულ უსაფრთხოებას, ქსელის ადმინისტრირებას და ვინდოუსს.

დისტანციური სწავლების გამოწვევაზე რას გვეტყვით, გაგიჭირდათ?

– დისტანციურ სწავლებას აქვს თავისი სირთულეები, რადგან ტექნოლოგიების სფერო მხოლოდ თეორიასთან არ არის დაკავშირებული. ბევრი რამ პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვს.

როდესაც ონლაინრეჟიმზე გადავედით, ვცდილობდი, მეტი დრო თეორიული საკითხებისთვის დამეთმო. კოლეჯში რომ დავბრუნდით, ძირითადად პრატიკულ საკითხებზე ვმუშაობდით.

არის სიმულაციის პროგრამები, როდესაც კომპიუტერზე შემიძლია ვაჩვენო, როგორ ვაინსტალირებ, ვთქვათ, ოპერაციულ სისტემას. ბუნებრივია, უკეთესია რეალურ აპარატურაზე ჩვენება, მაგრამ ამის საშუალება ონლაინაც გვაქვს.

ტექნოლოგიების მიმართ გოგოების ინტერესი თუ იგრძნობა?

– კოლეჯში არის ბევრი პროფესიაა, სადაც გოგონების და ვაჟების თანაფარდობა 50/50-ზეა. იმ პროფესიებში, რომლებსაც მე ვისწავლი, გოგოები ნაკლებად არიან ჩართული.

მკაცრი მასწავლებელი ხართ?

– არა მგონია, უფრო მეგობრული. მნიშვნელოვანია, მოსწავლე ხედავდეს, რომ მასწავლებელი დაინტერესებულია მისი ცოდნით და რომ ნამდვილად სურს, დაეხმაროს მას. სტუდენტმა, რომელიც ორი წელი გისმენს, აუცილებელია, შენგან ის ცოდნა წაიღოს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგება.

აღნიშნეთ, რომ მასწავლებლის პროფესია ყოველთვის მოგწონდათ. რატომ?

– ჯერ ერთი, ძალიან საინტერესოა თვითონ სწავლების პროცესი. გარდა ამისა, ყოველ ახალ ჯგუფში ახალ ადამიანებს ეცნობი.

რაც მთავარია, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ხედავ, თუ როგორ იზრდება კოლეჯში მოსული სტუდენტი, როგორ ემატება ცოდნა. ჩემი არაერთი სტუდენტი უკვე კარგ კომპანიაში მუშაობს, ზოგიც მასწავლებლობს. ამით არის მასწავლებლის შრომის შედეგი თვალსაჩინო.

თქვენი კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესსექტორთან. ასევე, აკადემიას აქვს პარტნიორული ურთიერთობები სამინისტროებთან, სააგენტოებთან, სადაც თქვენი სტუდენტები სრულყოფილ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას გადიან. ფიქრობთ, მომავალ წლებშიც მაღალი მოთხოვნა იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულებზე?

– კოლეჯი მათ კონკურენტუნარიან სპეციალისტებად აყალიბებს. დღეს გამიჭირდება, დავასახელო სფერო, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიებს არ იყენებენ. მნიშვნელობა არ აქვს, მცირე ბიზნესია ეს თუ მსხვილი კომპანია, ყველას სჭირდება თანამშრომელი, რომელიც ქსელს გაუმართავს. მომავალი ტექნოლოგიებისაა. სფეროც ძალიან დინამიკური და საინტერესოა – სწავლების პროცესი არ მთავრდება, სულ სიახლეებში ხარ და ეს უწყვეტ განვითარებას გაიძულებს.

როგორია თქვენი გზავნილი კოლეჯის პოტენციური სტუდენტებისადმი, რატომ არის პროფესიული განათლება პერსპექტიული?

– კოლეჯში სწავლება რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს – მოდულური პროგრამები, მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები და ზრდასრულთა პროფესიული მომზადების პროგრამები. ყველაზე დიდი პლუსი პროფესიულ განათლებაში ის არის, რომ შეგიძლია მოკლე დროში მიიღო პროფესია, რომელიც ბაზარზე ძალიან მოთხოვნადია, ასპროცენტიანთან მიახლოებული დასაქმების მაჩვენებლით.

ჩვენი სტუდენტები, მათი უნარებიდან გამომდინარე, ნაწილდებიან დამსაქმებლებთან. სწავლის პერიოდში ისინი სერიოზულ საწარმოო პრაქტიკას გადიან და ამიტომ უპრობლემოდ საქმდებიან წარმატებულ კომპანიებში.

პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით გეტყვით, რომ უნივერსიტეტში ბევრ საგანს სწავლობ და ზოგად ცოდნას იღებ. როცა ამთავრებ, რაღაც კონკრეტულისთვის ყოველთვის მზად არ ხარ. ჩვენი კოლეჯის ლაბებში კი სტუდენტები იმას აკეთებენ, რისი კეთებაც სამსახურებში პირველივე დღიდან მოუწევთ.

თანაც, კოლეჯში ისწავლება ბევრი ისეთი პროფესია, მაგალითად, ახალი პროგრამის ან აპლიკაციის შემნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ლოკაციას, საიდან მუშაობ – სახლიდან, პარკიდან თუ ოფისიდან. პანდემიაში ამის პოზიტიური მხარე განსაკუთრებით გამოიკვეთა.

ახალგაზრდებს კი ვეტყოდი: რამე რომ გამოგივიდეს, უნდა სცადო და თუ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი სტერეოტიპი, რომ პროფესიული განათლება უმაღლესზე ნაკლებია, სცადონ – მე, როგორც მასწავლებელი, ვაძლევ გარანტიას, რომ აქ დიდი შესაძლებლობები ელით.

პედაგოგიკის პერსპექტივები და ტექნოლოგიები პროფესიულ განათლებაში

მანანა ჯინჭარაძე

ჩვენ ვართ მასწავლებლები და ეპოქა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, სრულიად ახალია, ცვალებდია, სიახლეებით სავსეა და ჩვენგან, მასწავლებლებისგან, მოითხოვს წარმოუდგენელ მოქნილობას. ამ ახალ ეპოქას ახასიათებენ ასე: VUCA(volatility, uncertainty, complexity, ambiguity). ეს არის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ. რთულია, წინასწარ განვსაზღვროთ, რამდენად შეიძლება ვენდოთ იმ პედაგოგიურ გამოცდილებას, რომელსაც აქამდე ვაგროვებდით, იქნება თუ არა მასწავლებლის მიერ შემოტანილი ახალი ტექონოლოგია (მეთოდი, სტრატეგია, ინსტრუმენტი, მექანიზმი) წარმატებული, გააძლიერებს თუ არა იგი სტუდენტის მოტივაციას შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ეპოქა ჩვენგან გააზრებულ და გონივრულ ცვლილებებს ითხოვს.

დღეს მსწავლელი (არასრულწლოვანიც და ზრდასრულიც), VUCA-სამყაროს გამო, გამოირჩევა თავისუფალი აზროვნებით, ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით, შფოთვისა და კრიზისული პერიოდებით. ადვილი არ არის, მასთან შეთანხმებას მიაღწიო შესასწავლი საკითხისა თუ სწავლების ორგანიზების კუთხით.

პროფესიული სტუდენტი, ისევე, როგორც ყველა ჩვენგანი, ცხოვრობს ქსელებში, აქვს ზღვა ინფორმაცია, იღებს დაუბრკოლებლად ნებისმიერ რესურსს, მასალას და აგროვებს ცოდნას. ამ ტიპის მსწავლელთან, ბუნებრივია, ნებისმიერ მასწავლებელს დასჭირდება, დაფიქრდეს ახალ კატეგორიებზე, რომლებითაც ცოდნის გადაცემა შესაძლებელი გახდება დაუბრკოლებლად, საინტერესოდ და მოტივირებულად. რას ვთავაზობ მე ჩემს სტუდენტს, როგორ დავაინტერესო ის პროფესიით, როგორ გავხადო სწავლების პროცესი მიმზიდველი, ისე, რომ არც მე დავკარგო პედაგოგიური ავტორიტეტი და მისთვისაც საინტერესო გზის გამკვალავი გავხდე? – პროფესიული მასწავლებელი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მუდმივად უსვამს ამ შეკითხვებს საკუთარ თავს სტუდენტთან ურთიერთობისას.

განათლების ყველა მიმართულებას ძალისხმევა აქვს გასაღები აღნიშნული ბარიერების გადასალახად, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პროფესიული მიმართულების მასწავლებელთათვის.

პირველი და უმთავრესია სტუდენტთა განსახვავებულობა. მასწავლებელს უწევს არაერთგვაროვან სასწავლო ჯგუფთან მუშაობა, რომლის წევრებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასაკის, გამოცდილების, შეძენილი ცოდნის, გენდერის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფში შესაძლებელია, ჩემზე უფროსებიც იყვნენ ჩემი სტუდენტები, ან სულაც ზოგიერთი მათგანი ლამის შვილის ტოლი იყოს. მათთვის ერთნაირად საინტერესო უნდა იყოს ჩემ მიერ გადაცემული მასალა. რთული გამოწვევაა.

მეორე, და ასევე არსებითი – პროფესიული მიმართულება თანაბრად ეყრდნობა დარგის და პედაგოგიკის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ნაზავს, რაც ასევე ჩემი სტუდენტების წარმატების გარანტია. პირველი – დარგი სწრაფად იწევს წინ და მუდმივ ცვლილებაშია, ხოლო მეორეს – პედაგოგიკას მუდმივად უწევს ფიქრი „ახალ პედაგოგიკაზე“, რომელიც არსებითად განსხვავებული უნდა იყოს აქამდე მიღებული პედაგოგიური გამოცდილებისაგან. თუკი სამყარო იცვლება, პედაგოგიური მიდგომებიც მის კვალდაკვალ უნუდა შეიცვალოს, თორემ დაძველდება და აღარავის დააინტერესებს.

პროფესიული პედაგოგიკის ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, პროგნოზირებადი და ორგანიზებული გახდეს მასწავლებლის საქმიანობა, სტუდენტთან თანამშრომლობა, დაიხვეწოს სასწავლო შინაარსი, შედეგების მიღწევის შესაძლებლობები, დაინერგოს ნოვატორული მიღწევები. სწორედ ეს და კიდევ სხვა მრავალი არის ე.წ. „ახალი პედაგოგიკის“ მთავარი განმსაზღვრელი.

რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ტექნოლოგიებზე და რა შეიძლება

ჩაითვალოს სტუდენტისთვის ტექ-ნოლოგიურ მრავალფეროვნებად?

ტექნოლოგიების გარეშე თანა-მედროვე პედაგოგიკა აღარ არ-სებობს. პანდემიამ პედაგოგიკაში ონლაინსწავლების აუცილებლობა მოიტანა. ტექნოლოგიის გარეშე ვერ შევძლებ ვასწავლო. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ზრდას. მოტივირებული ადამიანი ადვილად გარდაქმნის ცოდნას ქმე-დებად, მოქმედებს დამოუკიდებ-ლად, მიზნად ისახავს პროფესიულ განვითარებას, აქვს ინტერესი, მაქსიმალური მიიღოს ნებისმიერი ტიპის სასწავლო გეგმიდან, სწავ-ლების პროცესიდან.

ტექნოლოგიზაცია ხელს უწყობს მსწავლელს, სწრაფად იპოვოს ამო-ცანის შესრულების გზა, მისაწვდომი გახადოს ინფორმაცია, გამოიყენოს მისი დამუშავების ახალი ინსტრუ-მენტები და პროცესი დააჩქაროს. ინფორმაციის ფლობა, ცოდნა, გაგე-ბა და გაფილტვრა დეკლარაციული ცოდნის საფუძველია, ხოლო ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით ამ ინფორმაციებთან დაკავშირებუ-ლი ამოცანების ამოხსნა, პრობლე-მის გადაჭრა, ახალი ინფორმაციის შექმნა და ა.შ. – პროცედურული ცოდნის განმსაზღვრელი.

ცოდნის ორივე კატეგორიას ძა-ლიან ეხმარება ვიზუალიზაციის ტექნოლოგია, რომელშიც თავის-თავად არაფერია ახალი, მაგრამ როგორც მუდმივად ცვალებადი და განახლებადი – პერსპექტიულია. სასწავლო პროცესში გამოყენებუ-ლი თანამედროვე ინსტრუმენტები, სტატისტიკური გრაფიკები და თე-მატური კარტოგრაფია – გრაფიკუ-ლი გამოსახულებები, ცხრილები, ინფოგრაფიკა თვალსაჩინოა, ხელს უწყობს ინფორმაციის მარტივად აღქმას, დამახსოვრებას, სქემატურ აზროვნებას და სემიოტიკური კომ-პეტენციის განვითარებას.

ტექნოლოგიური დივერსიფიკაცია პერსპექტიული განათლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი სტრატეგიაა.

მანანა ჭინჭარაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

იგი მოიცავს მასალის სწავლების მეთოდებს, ცოდნის სტრატეგიებს, ცოდნის შეფასების ფორმას და ა.შ. შესაბამისად, მასწავლებლის დივერ-სიფიცირებული პორტფოლიო ყო-ველთვის საიმედოა და შედარებით ნაკლებ რისკებს მოიცავს. სწავლის დაწყებამდე ხდება პროცესის ელე-მენტების, და არა მარტო, გაცნობა, შეთანხმება, ერთგვარი გარიგება: როგორ ვასწავლი, რა დროში, რა მე-თოდებით, რომელი სტრატეგიით, რა შეფასებას გამოვიყენებ და სხვ.

და ბოლოს, პერსპექტიული პედა-გოგიკის ყველაზე საინტერესო და მამოტივირებელი ტექნოლოგია, ყველა ასაკის მსწავლელისთვის – „გეიმპლეი“ – თამაშის ელემენტე-ბის შეტანა სასწავლო პროცესში.

პედაგოგებმა იციან, რომ ახალი ტექნოლოგიები, როგორც წესი, ეკონომიკიდან მოდის პედაგოგი-კაში. ამჯერად ეს უკვე გეიმერების თამაშის ელემენტები ან ადაპტი-რებული თამაშებია, რომლებსაც სწრაფად, პროცესში და კარგად იმახსოვრებს მსწავლელი. მცდა-რია მათი აზრი, ვინც ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს მხოლოდ ზოგადი განათლების პრეროგატივად მიიჩნევს. გაცილე-ბით ეფექტურად და გააზრებულად შეიძლება იქნას იგი გამოყენებული პროფესიულ მიიმართულებაში და განსაკუთრებით ისეთ დარგებში, რომელთა კონცეფციაც ნახაზებს, გადაადგილებას, კონსტრუქციებს, მშენებლობას, აგებას, შექმნას და ა.შ. ეხება. შემოქმედებითი მას-წავლებელი ნებისმიერი ტიპის თამაშებს გამოიყენებს დარგში კონკრეტული საკითხის შესასწავ-ლად. ეს ეხმარება სტუდენტებს, გაიძლიერონ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები, მეტი ყურადღება დაუთმონ თანამშ-რომლობასა და კომუნიკაციას.

თუ შეჯამების სახით, მოკლედ წარ-მოვადგენთ ზემოთ აღნიშნულს, პედაგოგიკას ახალ პერსპექტივებს უსახავს: ტექნოლოგიზაცია, ვიზუ-ალიზაცია, დივერსიფიკაცია და სას-წავლო პროცესში თამაშის ელემენ-ტების შეტანა. ისინი თანაბარი დატ-ვირთვით გამოიყენება – პირისპირ და ონლაინსწავლების, როგორც სინქრონულ, ისე ასინქრონულ პრო-ცესში. ორივე შემთხვევაში ხელს უწყობს მოქნილობას, ეკონომიკურ ეფექტიანობას, განათლების ხარის-ხის კონტროლს, მასწავლებლის და სტუდენტის თანამშრომლობას და ახალი როლების შექმნას.

კარგი და საიმედო ამ რთულ ახალ სამყაროში ის არის, რომ მთელ მსოფლიოში მასწავლებლებს მსგავსი გამოწვევები აქვთ. ღი-რებული ცოდნა გამოცდილების საფუძველზე გროვდება. ჩვენ მივდივართ ცდისა და მცდელობის გზით, მუდმივად განვაახლებთ ჩვენს პრაქტიკას და ყველაზე მნიშ-ვნელოვანი ამ პროცესებში არის მასწავლებელთა გაზიარებული გამოცდილებები; პროფესიული განათლების მასწავლებლებისათ-ვის შესაბამისი შესაძლებლობების გაჩენა, რათა საშუალება გვქონდეს, მუდმივი განვითარების მაგალითს ვაძლევდეთ ჩვენს სტუდენტებს.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში

შორენა ტყეშელაშვილი

ერაზმუს+ ევროკავშირის პროგრამაა, რომელიც პროექტებს ახორციელებს განათლების, ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით. პროგრამა საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს და წარმატებით არის ჩართული უმაღლესი განათლების სფეროში. ერაზმუს+ სტუდენტებს და პროფესორებს საშუალებას აძლევს, გაცვლითი პროგრამების საშუალებით აიმაღლონ ცოდნა და გამოცდილება ევროპის ქვეყნებში. წელს, პირველად, პროგრამა პროფესიული განათლებისთვისაც იხსნება და შეეცდება, უმაღლესი განათლების სფეროში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება პროფესიულ განათლებაში გადმოიტანოს, ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მიმწოდებელთა თანამშრომლობას, პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას და ინტერნაციონალიზაციას. პროგრამის ეროვნული ოფისის კოორდინატორი ლიკა ღლონტი გვესაუბრება იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართება პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესი საქართველოში და რა ცვლილებები იქნება მოსალოდნელი საწყის ეტაპზე.

ქალბატონო ლიკა, გვესაუბრეთ ერაზმუს+-ის საქმიანობაზე საქართველოში. როდის დაიწყო პროგრამის განხორციელება და რა გამოცდილება დაგროვდა?

– ერაზმუს+ გახლავთ ევროკავშირის პროგრამა, რომელიც მუშაობს განათლების, ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით. პროგრამა საქართველოში 1995 წლიდან ხორციელდება და დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა უმაღლესი განათლების სფეროში. ერაზმუს+ ძალიან ცნობილი და პოპულარული პროგრამაა სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის. ის ახორციელებს სტუდენტების გაცვლით პროგრამას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ეს ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების ინსტიტუციური განვითარების მხარდასაჭერად.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სულ მალე იწყება ერაზმუს+-ის ახალი პროგრამა, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. გთხოვთ, მოგვიყვეთ ამ პროექტის შესახებ.

წელს ვართ ძალიან გახარებულები, რომ ეს პროგრამა იხსნება პროფესიული განათლებისთვისაც. პირველი კონკურსი გამოცხადდება შემოდგომაზე. ჯერჯერობით ზუსტი თარიღის დასახელება არ შემიძლია, რადგან ვართ მოსამზადებელ ეტაპზე. ვამზადებთ საინფორმაციო კამპანიას, რათა გამოცხადდება თუ არა კონკურსი, დავიწყოთ მუშაობა ამ მიმართულებით. ეს იქნება ერაზმუს+-ის პროგრამა პროფესიული განათლების სასწავლებლებისთვის, ანუ ყველასთვის, ვისაც აქვს შეთავაზება პროფესიული პროგრამების.

რა ქვეპროგრამებს სთავაზობს ერაზმუს+ პროფესიულ სასწავლებლებს?

პირველი – ეს არის ევროპელ პარტნიორებთან სტუდენტების და პროფესორების გაცვლის საშუალება. საწყის ეტაპზე გაცვლა იქნება ცალმხრივი. ჩართულ პროფესიულ სასწავლებლებს შეეძლებათ უმასპინძლონ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ მასწავლებლებსა და სტუდენტებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ბევრისთვის შეიძლება გულდასაწყვეტი იყოს, რომ საწყის ეტაპზე ცალმხრივი იქნება გაცვლითი პროგრამა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენთან ჩამოვლენ ჩვენი კოლეგები ევროპის ქვეყნებიდან, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა იქნება ინსტიტუციური

ლიკა ღლონტი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

განვითარების მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც არის დაფუძნებული სასწავლებლებს შორის პარტნიორობაზე. სწორედ ამ პარტნიორობის ფარგლებში შეიძლება მოხდეს ჩვენი მოსწავლეების და პროფესორების სტაჟირება ევროპის ქვეყნებში. ინსტიტუციური განვითარების მხარდამჭერი პროგრამები მხარს დაუჭერს პროფესიული პროგრამების, სწავლების და სწავლის მეთოდიკის, სტუდენტთა შეფასების წესების დახვეწას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და მათ განვითარებას. გარდა ამისა, ბიზნესის სექტორზე და დასაქმებაზე ორიენტირებული აქტივობების მხარდაჭერაც იგეგმება. მნიშვნელოვანია, ამ პროგრამაში მონაწილეობდეს ორი ევროპული ქვეყნის პროფესიული სასწავლებელი და საქართველოდან მინიმუმ ორი სასწავლებელი უნდა იყოს ერთდროულად ერთ პროექტში ჩართული. ეს არის ჯგუფური პროექტები და ჩვენ მსგავსი პროექტების მართვის ძალიან კარგი გამოცდილება გვაქვს უმაღლესი განათლების სფეროში. დარწმუნებული ვართ, ამ გამოცდილების გადმოტანისა და გაზიარების საშუალება გვექნება პროფესიულ განათლებაშიც. ინსტიტუციური პროგრამების განვითარების ფარგლებში შესაძლებელი იქნება სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლაც. მესამე პროგრამა, რომელიც ასევე არის დაგეგმილი, გახლავთ წარმატების ცენტრების, ევროპელ პარტნიორებთან ერთად რეგიონული პროფესიული განათლების ცენტრების დაფუძნება და კონკრეტული დარგების გაძლიერება.

რომელ ქვეყნებში იქნება შესაძლებელი ამ პროგრამის გავლა პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებისთვის?

– ეს არის ევროკავშირის 27 ქვეყანა, ასევე ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტაინი, თურქეთი, სერბეთი და ჩრდილოეთ მაკედონია. ჩვენ თანამშრომლობა შეგვიძლია 33 ქვეყანასთან და ამ ქვეყნებიდან ჩვენ შეგვიძლია ვუმასპინძლოთ მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რაც უდავოდ გაამდიდრებს სასწავლო პროცესს.

რა მოლოდინი გაქვთ პროგრამასთან დაკავშირებით?

– ვფიქრობ, იქნება ძალიან კონკურენტული პროგრამა, რადგან ეს არ არის ცალკე საქართველოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი. ერაზმუსის ბიუჯეტი არის რეგიონული და ის გამოყოფილია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე და საქართველოს გარდა, პროგრამაში მონაწილეობს სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია და მოლდავეთი. შესაბამისად, ისინი ჩვენი კოლეგებიც და კონკურენტებიც არიან ამ საკითხში და შეიძლება მათთან თანამშრომლობაც მოგვიწიოს ერთი და იმავე პროექტის ფარგლებში. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართულმა პროფესიულმა სასწავლებლებმა დაიწყონ ევროპელი პარტნიორების მოძი-

ება და ერთმანეთთან საუბარი, რადგან, როგორც გითხარით, ამ პროექტებში ჯგუფურად უნდა მონაწილეობდეს ორი ან მეტი ქართული პროფესიული სასწავლებელი. როგორც ვიცით, რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს აქვს პროფესიული პროგრამები, აქვთ ეს გამოცდილება და მათთვის შეიძლება ეს პროცესი უფრო მარტივი აღმოჩნდეს. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ძალიან მაღალია მოტივაცია ყველა პროფესიულ სასწავლებელში იმისთვის, რომ მოხდეს ინტერნაციონალიზაცია ამ პროგრამების. გვქონდა საუბრები განათლების სამინისტროში, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორატთან და დარწმუნებულები ვართ, სამთავრობო დონეზეც ამ პროგრამას ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება.

რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა სასწავლებელმა?

– ამჟამად მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ პროფესიული სასწავლებელი იყოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული და ავტორიზირებული. ყველას, ვისაც სურს, მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში, მოუწევს ევროკავშირის პროგრამების პორტალზე რეგისტრაციის გავლა. მაგრამ ეს არის ტექნიკური დეტალი, იმისთვის, რომ შემდეგ გრანტის მიღება შესაძლებელი გახდეს. სხვა კრიტერიუმი არ არსებობს, რადგან პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარი დაუჭიროს ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარებას და განსაკუთრებულ კრიტერიუმებს ჩვენი სასწავლებლებისგან არ ითხოვენ. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ უცხოელი პარტნიორების მოძიებას. უკვე ვასრულებთ ინგლისურენოვან მოკლე ვიდეორგოლზე მუშაობას პოტენციური ევროპელი პარტნიორებისთვის, რომ მათ იცოდნენ, თუ როგორ მუშაობს საქართველოში პროფესიული განათლება. ვიდეოში ნაჩვენები იქნება, თუ როგორია ჩვენთან პროფესიული განათლება, ვინ შეიძლება იყოს პოტენციური პარტნიორი, როგორია ავტორიზაციის კრიტერიუმები, კვალიფიკაციის ჩარჩოს რომელ საფეხურზე ხდება პროფესიული პროგრამების განხორციელება და ა.შ. ჩვენ ვაცნობთ მათ წინაპირობებს, თუ რა გარემოში მოუწევთ ჩვენთან თანამშრომლობა.

როგორ მოხდება დაფინანსების მოპოვება?

– ამ პროგრამაში მონაწილეობა ფინანსურ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. თანადაფინანსების მოთხოვნა იქნება თუ არა, ჯერ არ ვიცით და რომც იყოს, არ გამოიხატება ნაღდი ფულის ფორმატში. ინსტიტუციური მხარდაჭერის ბიუჯეტზე ცნობილია, რომ 10 0000-დან 40 0000 ევრომდე იქნება თითოეული პროექტის ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტიდან დაფინანსდება ხელფასები, მგზავრობის ხარჯები, შეიძლება ინფრასტრუქტურა, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელოები და სხვა ტიპის ლიტერატურის თარგმნა და ადაპტირება ქართულ ენაზე. მგზავრობის ხარჯები იქნება სრულად ანაზღაურებული და შესაბამისად იქნება სტიპენდია.

Website: www.erasmusplus.org.ge

- Facebook: National Erasmus+ Office Georgia
- YouTube: ErasmusGeorgia
- Twitter: @erasmusgeorgia
- E-mail: Erasmus.Georgia@gmail.com

ინფორმაცია Erasmus+-ის პროგრამებზე პროფესიული განათლებისთვის:
http://erasmusplus.org.ge/services/institutsiuri-ganvitarebis-proektebi

პორტალზე მონაწილეთა რეგისტრაციის ინსტრუქცია:
http://erasmusplus.org.ge/files/files/PIC/PIC%20registration%20.pdf



პროგრამის გეოგრაფია:

- ლურჯად მონიშნულია ე.წ. ასოცირებული ქვეყნები, რომლებიც პროექტებში ჩვენს პარტიორებად მოიაზრება. ესაა ევროკავშირის წევრი ქვეყნები + ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტაინი, თურქეთი, სერბეთი და ჩრდილოეთ მაკედონია.
- ყვითლად მონიშნულია ე.წ. არაასოცირებული ქვეყნები, საქართველოს ჩათვლით.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა — სოფლის მდგრადი მეურნეობის განვითარება

თამარ სანიკიძე

კლიმატის ცვლილება, როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად მსოფლიოში, დინამიკური პროცესია. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა ემყარება პროგნოზირებულ ტენდენციებს, რომელთა სანდოობის გადამოწმებაც უახლესი მონაცემების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. დინამიკურ პროცესს წარმოადგენს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაც სოფლის, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. ადაპტაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია ინდიკატორებზე დამყარებული სწრაფი რეაგირების მექანიზმი და შედეგების ეფექტური მონოტორინგის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს რისკების იდენტიფიცირებას და მათ ეფექტურ მართვას.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა განისაზღვრება, როგორც ცალკე მიმართულება, თუმცა რეალურად ის წარმოადგენს დარგთაშორის მიდგომას. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა არის მდგრადი სოფლის მეურნეობა, რომელიც ქვეყნის სტრატეგიის სხვა მიმართულებებსაც ეხება და კლიმატის თვალსაზრისით, საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას იყენებს.

აღნიშნული აუცილებელია, გაწერილი იყოს ყველა ქმედებისათვის. ქმედებების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათი განხორციელების დონეზე.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დოკუმენტში (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)) ქმედებები შემდეგ მიმართულებებად არის დაჯგუფებული:

- ლანდშაფტი
- წყალი / ნიადაგი
- გენეტიკური რესურსები
- სასოფლო სამეურნეო კულტურები / მესაქონლეობა / მებაღეობა
- საკვების დამატებითი ღირებულების შემქმნელი ჯაჭვი
- ენერგეტიკა
- ინსტიტუციური მოწყობა
- პოლიტიკა
- დაფინანსება
- შესაძლებლობების ზრდა
- კატასტროფების რისკის შემცირება
- უსაფრთხოების ბადეების როლი
- შეფასება, უკურეაქცია და მონიტორინგი

კვლევა, ექსტენცია და აგრობიზნესი ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის (მდგრადი სოფლის მეურნეობის) განვითარებისთვის.

კავშირი კვლევას, პრაქტიკულ სოფლის მეურნეობას, აგრობიზნესსა და ადმინისტრირებას შორის ძალიან სუსტია, რაც ინოვაციების დანერგვის სიმცირეში ვლინდება. კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კვლევებში უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული რეგიონული მიდგომები და უნდა ჰქონდეს უფრო მეტი კავშირი პრაქტიკასთან. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია გამოყენებითი, საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების წარმოება.

იმისათვის, რომ კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციები ფერმერებამდე მივიდეს, აუცილებელია რეგიონულ, სოფლის თუ ფერმების დონეზე ჩატარებული კვლევების შედეგებისა და ინფორმაციის გაზიარება ექსტენციის სამსახურებისათვის აღნიშნული კვლევების შედეგების ფერმერებს შორის გავრცელების მიზნით.

კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაში კვლევების ეფექტურად ჩატარებისთვის აუცილებელია კვლევების პრიორიტეტების დადგენა. კვლევა იძლევა კლიმატთან დაკავშირებულ უფრო ზუსტ მონაცემებს, ავლენს უკეთ ადაპტირებად ჯიშებსა და სახეობებს და მოვლა-მოყვანის ისეთ მეთოდებს, რომლებიც რესურსების დაზოგვას, რისკების ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს.

„კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება „კლიმატისადმი მდგრა-

დი და დაბალემისიანი სოფლის მეურნეობის“ უფრო მოკლე ფორმით გამოსახატად. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განმარტებით, სოფლის მეურნეობა კლიმატგონივრულია, თუ მისი მართვა ხდება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. ეს კი ნიშნავს, რომ ის დაგეგმილია ისე, რომ:

- ეხმარება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს, შეინარჩუნონ და გაზარდონ მოსავლის პროდუქტიულობა მიმდინარე კლიმატის ცვლილების პირობებშიც კი;
- გონივრულად გამოიყენონ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დადებითი ცვლილებები და მოახდინონ უარყოფით ცვლილებებთან ეფექტური ადაპტაცია თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მაქსიმალურად ეფექტურად მოახდინონ არსებული რესურსის (წყალი, ნიადაგი, და სხვ.) გამოყენება;
- რაც შეიძლება ნაკლები წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების პროცესებში (შეაჩერონ ტყეების ჩეხვა სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, გაზარდონ ენერგოეფექტურობა, შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო მიწების/საძოვრების დეგრადაცია და სხვ.), რათა კიდევ უფრო არ დამძიმდეს კლიმატის ცვლილების გავლენა ამ დარგზე (წყარო – გზამკვლევი კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი, დაბალემისიებიანი (კლიმატგონივრული) სოფლის მეურნეობა. 2021 წ.).

თამარ სანიკიძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია (CSA) ემყარება სამ პრინციპს:

პროდუქტიულობა: CSA მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და შემოსავლების მდგრად ზრდას კულტურებიდან, პირუტყვიდან და თევზიდან, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. ეს, თავის მხრივ, გაზრდის საკვების რაოდენობას და კვების უსაფრთხოებას. პროდუქტიულობის გაზრდასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფცია არის მდგრადი ინტენსიფიკაცია.

ადაპტაცია: CSA მიზნად ისახავს, შეამციროს ფერმერებზე მოკლევადიანი რისკების ზემოქმედება, ასევე გაზარდოს მათი გამძლეობა შოკისა და გრძელვადიანი სტრესების პირობებში ადაპტირებისა და განვითარების უნარების გაზრდის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ეკოსისტემური მომსახურების დაცვას, რომელსაც ეკოსისტემები უწევენ ფერმერებს და სხვა. ეს სერვისები აუცილებელია პროდუქტიულობის შესანარჩუნებლად და კლიმატის ცვლილებებთან შეგუების უნარისთვის.

შემსუბუქება: CSA უნდა დაეხმაროს სათბურის გაზების (GHG) ემისიების შემცირებას. ეს გულისხმობს, რომ ჩვენ ვამცირებთ გამონაბოლქვს, თავიდან ვიცილებთ ტყეების გაჩეხვას და ვმართავთ ნიადაგის, წყლისა და ტყის რესურსს ისე, რომ მაქსიმალურად გავზარდოთ მათი პოტენციალი (https://www.worldbank.org/en/topic/climate-smart-agriculture).

ბიზნესი და ადამიანური რესურსები — სად და როგორ მოიპოვებს ბიზნესი საჭირო ადამიანებს?

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ კითხვებს პასუხობს მაგდა ბოლოთაშვილი. დასაქმების პერსპექტივები გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების მხრიდან კონკრეტული პროფესიებისადმი და, შესაბამისად, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მოთხოვნის გაჩენაში. არჩევნის გაკეთებისას გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, როგორც არის პოტენციური დამსაქმებლების სიმრავლე, დარგის განვითარების დონე, შესაძლო ანაზღაურების ოდენობა.

საქართველოს 2020 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, საწარმოების უმრავლესობა (51%) პირადი კონტაქტებით ცდილობს სასურველი კადრების მოძიებას[1]. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ კომპანიები არცთუ იშვიათად მიმართავენ სხვადასხვა ვებგვერდს, როგორიცაა www.hr.ge www.jobs.ge. დაინტერესების შემთხვევაში ხდება განაცხადების გადარჩევა და შესაბამისი კადრის ძიება. ბოლო წლებში შეინიშნება აქტიური თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთანაც. იმ საწარმოების წილი, რომლებიც კადრების მოსაძიებლად ინტერნეტს იყენებენ, შეადგენს 30,8%-ს. ბეჭდურ განცხადებას იყენებს 10%, დასაქმების კერძო სააგენტოებს მიმართავს 7,7%. ამ მოცემულობაში საკმაოდ მოკრძალებულია დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ვებ-გვერდის (Worknet) ხვედრითი წილი – 0,3%.

საქართველოში ადამიანური რესურსების მოძიება ძირითადად ნაცნობ გარემოში ხდება. კერძო სექტორისა და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლობა სასურველი კადრების მოძიების მიზნით ჯერ საწყის ეტაპზეა და მას გაფართოების რეალური შესაძლებლობები აქვს.

ამ ქვეყანაში ბევრი ადმიანი ეძებს სამუშაოს და ასევე ბევრი ბიზნესი ეძებს ადამიანურ რესურსს. რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ყოველთვის ვერ პოულობენ?

– ბევრი ფაქტორი შეიძლება განიხილებოდეს ამ ჭრილში. ერთ-ერთ მთავარ საკითხად გვევლინება ქვეყნის მასშტაბით სტრუქტურული უმუშევრობა, ანუ ის, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გადაწყობა და შესაბამისი მიწოდების უზრუნველყოფა ვერ ხდება დროულად. ამას ძირითადად იწვევს ტექნოლოგიური პროგრესი. ჭირს სწრაფად რეაგირება განათლების სექტორის მხრიდან, რაც განპირობებულია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონით და არსებული პროცედურებით. ასევე დამატებით ფაქტორებად შესაძლებელია განვიხილოთ შესასრულებელი სამუშაოსა და ანაზღაურების არათანაბარზომიერება.

ამ ეტაპისათვის შრომის ბაზრის კვლევები მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის რამდენიმე მთავარ გამოწვევაზე აკეთებს აქცენტს[2], მათ შორისაა: სამუშაოს მაძიებელთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, სამუშაოს მაძიებელთა ნაკლებობა ზოგადად, აპლიკანტების მხრიდან მაღალი ხელფასების მოლოდინი და სამუშაო აღწერილობის შეუსაბამო სამუშაო გარემო.

რომელი პროფესიებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი?

– საქართველოში ძირითადად ვაჭრობისა და ტურიზმის სექტორების ზრდა იწვევს დასაქმების ზრდას. 2008-18 წლებში ბიზნესსექტორის ზრდასა და დასაქმებას შორის კავშირის დასადგენად მოხდა ბიზნესსექტორის სტატისტიკის გაანალიზება. გამოჩნდა, რომ სავაჭრო სექტორის 16%-ით საშუალო წლიურმა ზრდამ 2008-18 წლებში დასაქმება 15%-ით გაზარდა. ტურიზმის (სასტუმროები და რესტორნები) სექტორის შესაბამისი მაჩვენებლებია – 24% და 16%. ამის საპირისპიროდ, ჯანდაცვის სექტო-

რის საშუალო წლიურმა 16%-იანმა ზრდამ დასაქმება მხოლოდ 4%-ით გაზარდა ამავე პერიოდში. დასაქმების ზრდაზე პოზიტიურად აისახება შემდეგი სექტორების ზრდა: ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT), ადმინისტრაციული და პროფესიული მომსახურეებები. ამასთან, უძრავი ქონების, მრეწველობისა და განათლების ბიზნესების გაფართოება შედარებით მცირე ტემპებით ზრდის დასაქმებას[3]. აღსანიშნავია, რომ 2017-19 წლებში მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა ხელოსნები, ქარხნისა და მანქანების ოპერატორები/ამწყობები (+20.4%) და სავაჭრო/მომსახურების სფეროს პერსონალი (+10.4%). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა – 2020“[4] აჩვენა, რომ 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, წლის განმავლობაში, საწარმოთა 13.7%-ს (7 276 საწარმოს) ჰქონდა 58 911 ვაკანსია, რომელთა უმრავლესობა (72.2%) თბილისში იყო წარმოდგენილი. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნებოდა საბითუმო და საცალო ვაჭრობას – 34.7% (20 423 ვაკანსია). ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა ასევე სასტუმროები და რესტორნები – 10.9%, მშენებლობა – 8.5% და დამამუშავებელი მრეწველობა – 8%. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნება მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების პერსონალს (23.9%).

კვლევებით დასტურდება, რომ ბოლო წლებში ვაკანსიების უმრავლესობა ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის პერსონალზე მოდის.

მაგდა ბოლოთაშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რა არის პროფესიული განათლებისა და ბიზნესის თანამრომლობის მთავარი ასპექტები?

– ერთ-ერთი მთავარი ასპექტია მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირება, შესაბამისი კადრების მომზადება ბიზნესისათვის და მიზნობრივი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავება. როდესაც ვსაუბრობთ სტრუქტურულ უმუშევრობაზე ქვეყნის მასშტაბით და ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობაზე, მნიშვნელოვანია, სათანადოდ შეგვაფასოთ დამსაქმებლების როლი. დამსაქმებელი პირველი იგებს და ნერგავს თანამედროვე მიდგომებს თავის საწარმოში.

თქვენი რეკომენდაციები, რჩევები, რა უნდა გაითვალისწინოს პროფესიულმა განათლებამ?

– სასურველია, პროფესიულ განათლებას ჰქონდეს მუდმივი და მჭიდრო თანამშრომლობა ბიზნესსექტორთან, რაც იქნებოდა წინაპირობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწორად შემუშავებისა/დროული გადამუშავებისა. ამით განათლებას ექნება საშუალება, ზუსტად ის პროგრამები შესთავაზოს პროფესიული განათლების მიღების მსურველებს, რაც ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია და დასაქმების მეტ შანსს იძლევა. ამასთან, უნდა მოხდეს განათლების ხარისხის ზრდა, რაც დაკავშირებულია სისტემური პრობლემების მოწესრიგებასთან. მნიშვნელოვანია, არსებობდეს სანდო და სისტემატიზებული მონაცემები პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების თაობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნის გასაანალიზებლად. ასევე, საჭიროა პერმანენტულად ტარდებოდეს შრომის ბაზრის კვლევა მოთხოვნადი პროფესიების პროგნოზირებისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სწორი საინფორმაციო და მარკეტინგული კამპანიების წარმოება პროფესიული განათლების პრესტიჟის გასაზრდელად. პრინციპულია, მოხდეს პროფესიული განათლების სერვისად შეთავაზება ბიზნესისთვის. ეს მრავალმხრივი სარგებლის მომტანი იქნება ყველა მხარისთვის, რომელიც ჩართულია ამ პროცესში.

რა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს ბიზნესმა?

– სასურველია, ბიზნესი იცნობდეს პროფესიული განათლების სპეციფიკას, მისთვის საინტერესო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ბიზნესს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ პროფესიულ განათლებაში მისი ჩართულობა და განხორციელებული ინვესტიცია არის სარგებლის მომტანი როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერსპექტივაში, საწარმოს განვითარების/მდგრადობის, გაფართოების და სამუშაო ძალის ორგანიზების მიმართულებით. როდესაც ბიზნესს ესაჭიროება სამუშაო ძალა წარმოების გაზრდისა და გაფართოებისთვის, შესაძლებელია, მან სწორედ პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით იპოვოს სასურველი კადრი.

პროფესიული განათლების წარმატების წინაპირობა შეიძლება იყოს არსებული შესაძლებლობები – კარგად დანახული როგორც ოჯახების, პროფესიული განათლების მიღების მსურველების, ასევე ბიზნესის თვალით. ერთი მხრივ, სტუდენტი უნდა ხედავდეს დასაქმების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ინვესტორი/ბიზნესი უნდა ხედავდეს კვალიფიციური კადრის მიღების შესაძლებლობას. ეს ყველაფერი მიიღწევა სისტემური გაჯანსაღებით, შრომის ბაზარზე დასაქმების ობიექტური პირობების, განათლების ხარისხის ზრდით. საჭიროა, რომ ყველა ამ მიმართულებით მოხდეს კომპლექსური მუშაობა, რაც საბოლოო ჯამში მიმზიდველს გახდის პროფესიულ განათლებას და უზრუნველყოფს ბიზნესისთვის პროფესიულ კადრებზე ხელმისაწვდომობას, რაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

1 http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=ac0b9ff3-fa1b-41d3-87b5-b526452b16e1

2 https://galtandtaggart.com/en/reports/research-reports/georgias-education-sector

3 https://galtandtaggart.com/en/reports/research-reports/georgias-education-sector

4 http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7a00fcd7-eba5-42ca-affe-928ac31a9372

„აგროდუო“ — პირველი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია საქართველოში

ჟურნალ „პროფესიულ განათლებას“ პირველი დარგობრივი უნარების ორგანიზაციის შესახებ „აგროდუოს“ პრეზიდენტი, ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე რუსუდან გიგაშვილი ესაუბრა.

ქალბატონო რუსუდან, რა როლს ასრულებს დარგობრივი უნარების ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის განვითარებაში?

– 2019 წელს თორმეტმა სექტორულმა ასოციაციამ „აგროდუო“ შექმნა. დარგობრივი უნარების ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში მოქმედ ასოციაციებსა და კერძო კომპანიებს აერთიანებს. მისი მიზანია აგრარულ სექტორში ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშეწყობა, ადამიანური რესურსის გაძლიერება და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. ჩვენთან გაწევრიანება შეუძლია აგრომიმართულების ნებისმიერ ასოციაციას ან კერძო კომპანიების გაერთიანებას.

ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა ბოლო წლებში მომწიფებული იყო აგრარულ სექტორში, თუმცა მისი განხორციელება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით მოხდა.

მინდა გითხრათ, რომ „აგროდუოს“ ეგიდით უკვე 9 მიმართულების მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსი შემუშავდა სოფლის მეურნეობაში.

პროფესიული განათლების განვითარების გზაზე ყველაზე დიდი გამოწვევა კერძო სექტორის ჩართულობაა. 15 წელია, სოფლის მეურნეობაში ვსაქმიანობ და მუდმივად გვაქვს პროფესიონალი კადრების, მუშახელის დეფიციტი. არიან ნოვატორი ფერმერები, ახალგაზრდა, მოტივირებული მეწარმეები, რომლებსაც შეუძლიათ აგრარულ დარგებში რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღონ, მაგრამ კადრების გარეშე ვერაფერს აკეთებენ. ისინი დარგობრივ ასოციაციებს მოგვმართავდნენ ამ წუხილებით. მათი ნაწილი ჩვენთან გაერთიანდა, ფერმერები შემოიკრიბა და შრომის ბაზრის შესაბამისი პროფესიული პროგრამაც შეიმუშავა, მაგალითად, მეხილეობის, მერძევეობის, მეხორბლეობის დარგებში... ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება გააუმჯობესებს, ერთი მხრივ, მოქალაქის, ხოლო, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მომუშავე ბიზნესის მდგომარეობას. „აგროდუო“ ამისათვის აქტიურად მუშაობს. თუკი დღეს ბიზნესი აქტიურად ჩაერთვება პროფესიული განათლების სწორად წარმართვაში, ხვალ და ზეგ ათმაგად დაუბრუნდება ხარისხიანი კადრებისა და ძლიერი მუშახელის სახით. მათ, ვინც სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილებს ქმნიან, უნარების შექმნაში პასუხისმგებლობაც უნდა აიღონ. ასეა იმ ქვეყნებში, რომელთა განათლების სისტემებიც მოგვწონს.

თუ გვინდა, მივიღოთ გერმანიის, შვეიცარიის ან სხვა ევროპული ქვეყნების მოდელი, აუცილებლად უნდა მოვუსმინოთ შრომის ბაზარს, კერძო კომპანიებს და გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები, ინიციატივები, პასუხისმგებლობა. სწორედ ეს არის „აგროდუოს“ ფუნქცია – პროფესიული განათლების ერთიან ჯაჭვში კერძო სექტორისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამონაწილეობა.

სოფლის მეურნეობის მიმართ ახალგაზრდების ინტერესი უფრო და უფრო იზრდება. რო-

მელი პროფესიებია განსაკუთ-რებით პოპულარული და რა განაპიროებებს მათით დაინტე-რესებას?

– ბოლო წლებში გაიზარდა პრო-ფესიულ განათლებაზე მოთხოვნა და ეს კარგია. თუმცა საკმარისი ნამდვილად არ არის. ყველაზე მეტად აგრარულ სექტორში აგ-რონომებისა და ვეტერინარების მიმართულებით გვაქვს მოთხოვნა. ასევე, აგრომექანიკოსის, მებაღის, მეფუტკრის მიმართულებით.

დამსაქმებლები ხშირად აღნიშ-ნავენ, რომ დასაქმებულების გა-დასამზადებლად მათ სჭირდებათ მოქნილი პროგრამები. განათლე-ბის სამინისტროს ინიციატივით, გვაქვს სიახლე, რომელიც მოკლე-ვადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს ითვალისწინებს. ამ ინიციატივით გამრავალფეროვნ-და პროფესიული განათლების პროგრამების პალიტრა და ბევრი ახალი შესაძლებლობა გაჩნდა სტუდენტებისთვის, მოქმედი და დამწყები ფერმერებისთვის, დამ-საქმებლებისთვის. კარგი შესაძ-ლებლობაა ისიც, რომ მეწარმეს უკვე პროფესიული კოლეჯის გარე-შეც შეუძლია თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ესა თუ ის პროგ-რამა. ამ მხრივ სახელმწიფო არის მოქნილი, როგორც პროგრამის შე-მუშავებისა და აღიარების ეტაპებზე, ისე განხორციელების ეტაპზე. ეს სწორედ ის მოდელია, რომელმაც განაპირობა ევროპის ქვეყნებში საუკეთესო პრაქტიკები და გამარ-თული პროფესიული განათლების სისტემა. ეს ის გზაა, რომელსაც უნდა გავყვეთ ბოლომდე და განვა-ვითაროთ.

თქვენ „მომავლის ფერმერს“ ხელმძღვანელობთ. ვინ არიან თქვენი ორგანიზაციის წევრი ფერმერები, რას საქმიანობენ და თუ აქვთ კავშირი პროფე-სიულ განათლებასთან?

– ჩვენი ორგანიზაცია 2007 წლი-დან არსებობს და ფერმერებისა და დარგობრივი სპეციალისტების არაფორმალურ განათლებას ეწევა. როგორც „აგროდუოს“ წევრი, უკვე ჩაერთო ფორმალურ განათლება-შიც. ხანგრძლივი გამოცდილებით გეტყვით, რომ თუკი 5-7 წლის წინ ფერმერთა დიდი ნაწილი სამე-წარმეო საქმიანობას ცოდნისა და უნარების გარეშე იწყებდა, დღეს ვითარება მკვეთრად შეცვლილია. ისინი ჯერ ცდილობენ, კონკრეტუ-ლი მიმართულებებით განვითარდ-ნენ, ინფორმაციით შეიარაღდნენ და შემდეგ დაიწყონ საქმიანობა. გვყავს ისეთი ფერმერებიც, რომ-ლებმაც საკუთარი შვილები გაუშ-

რუსუდან გიგაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ვეს კოლეჯებში და გადაამზადეს. არიან დუალურ პროგრამებში ჩართული ფერმერებიც. ანუ ყამირი მიწა ნამდვილად აღარ არის, მენტალური გარდატეხა გვაქვს. თუმცა სამუშაო კიდევ ძალიან ბევრია.

ორი რამ განაპირობებს ევროპის წამყვან ქვეყნებში ეკონომიკის მიღწევებს. ერთი – პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მაღალი პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობა და მეორე – სახელმწიფოს საბაჟო და საკანონმდებლო პოლიტიკა ადგილობრივი მეწარმეების სასარგებლოდ. ამიტომ არის, რომ პურპროდუქტებში 90%-იანი, ხორცსა და ხორცპროდუქტებში 90%-იანი, რძესა და რძის პროდუქტებში – 95%-იანი თვითუზრუნველყოფა აქვთ. ჩვენ მხოლოდ შეღავათებს ვითხოვთ და თანამონაწილეობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში მოვიკოჭლებთ. არადა, რეალურ შედეგს ეს კომბინაცია იძლევა.

საქართველო ბევრს სწავლობს შვეიცარიისგან. ახლახან შვეიცარიული აგრარული სკოლაც დაარსდა დმანისში. შვეიცარია მდიდარი და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძალიან განვითარებული ქვეყანაა. რა ვისწავლეთ აქამდე და რა გვაქვს კიდევ სასწავლი?

– დმანისის სკოლის არსებობა რევოლუციური ნაბიჯია მეცხოველეობის სექტორისთვის და თავის სიტყვას ძალიან მალე იტყვის.

რაც შეეხება შვეიცარიის მაგალითს, საქართველოს რეალური პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების და ამ გზაზე შვეიცარიის გამოცდილება საუკეთესო მაგალითია, რომლისგანაც ვსწავლობთ.

ორი წლის წინ, როდესაც „აგროდუო“ იქმნებოდა, გაეროს მხარდაჭერით, შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემას ახლოდან გავეცანით. მახსოვს ჩვენი გაკვირვება, როდესაც რამდენიმე მინისტრს შევხვდით, რომლებმაც კარიერა სწორედ პროფესიული განათლებით დაიწყეს. ასეთი იყო ფინანსთა მინისტრი, ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მეპატრონე. ზოგადად, ამ შესანიშნავ ქვეყანაში წარმატებას განაპირობებს შრომით ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებული და უწყვეტი ჯაჭვი და ის, რომ იქ ახალგაზრდების 65% პროფესიულ განათლებას ირჩევს. როგორც შვეიცარიელები ამბობენ, რაც პროფესიული განათლება დაფასდა და მოდელი ამუშავდა, ეკონომიკა მას შემდეგ განვითარდა.

შვეიცარიის აგროსაგანმანათლებლო სისტემაში წამყვანი როლი კერძო სექტორს (ბიზნესი, ასოციაციები) აქვს. სახელმწიფოს გათავისებული აქვს საკუთარი როლი და ფუნქციები და ზუსტად იცის, რომ კერძო სექტორის განვითარებისთვის გამართული საკანონმდებლო საფუძველი უნდა ჰქონდეს და მაღალი ხარისხის განათლებას უნდა შეუწყოს ხელი.

ცენტრალური ხელისუფლება, რეგიონული წარმომადგენლობები (კანტონები) სრულად უჭერენ მხარს აგროსექტორიდან წამოსულ ინიციატივებს პროფესიულ განათლებაში. ის არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესებზეც. აგროსექტორდან მოდის ყველა იმპულსი პროფესიის განახლებისა თუ გადახედვისა. პროფესიულ განათლებას ცენტრალური ხელისუფლება 25%-ით აფინანსებს, დანარჩენს ინაწილებენ კანტონები და კერძო სექტორი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც შვეიცარიის წარმატებულ მოდელს განაპირობებს, ისაა, რომ პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში ჩართულია ყველა მონაწილე მხარე: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები, ასოციაციები, პროფესიული გაერთიანებები, მსხვილი ბიზნესები და დამსაქმებლები. შვეიცარიელ ფერმერს ეამაყება, თუ ის ამ პროცესში ჩართულია და ყველა საფეხურს გადის იმისთვის, რომ ექსპერტის სტატუსი მიიღოს, თაობების გაზრდის თანამონაწილე გახდეს, სასწავლო ფერმის სტატუსი მოიპოვოს. სწორედ განვითარების ეს გზა ავირჩიეთ ჩვენ და ამას უნდა გავყვეთ.

რატომ უნდა ავირჩიოთ სოფლის მეურნეობა?

– მინდა, ყველა ახალგაზრდას ვუთხრა, რომ პროფესიის არჩევისას კარგად გააანალიზონ, როდის ექნებათ რეალური შემოსავლები და რამდენად გამოადგებათ პრაქტიკაში მიღებული განათლება. ბევრი რეგიონიდან ჩამოდის დედაქალაქში, სწავლობს წლები და შემდეგ ვერ საქმდება. დღეს ყველა რეგიონში არის პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი, ყველგან არის მოთხოვნა პროფესიულ კადრებზე. მათ შეუძლიათ მოკლე დროში განათლებაც მიიღონ და დასაქმდნენ კიდეც. მაგალითად, ვეტერინარიის სპეციალისტებს იმაზე მეტი შემოსავალი აქვთ რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში დასაქმებულ საფინანსო ინსტიტუტის სპეციალისტს ან იურისტს. პროფესიული განათლების უპირატესობა არის ისიც, რომ იძლევა უწყვეტი განვითარების შესაძლებლობას. ზემოთ ვახსენე, რომ მსოფლიოში ბევრი წარმატებული ადამიანის კარიერა სწორედ პროფესიული განათლებით დაიწყო და მათ ეს ეამაყებათ. სწორედ ასეთი სისტემა უნდა გვქონდეს, რომ პროფესიული განათლების მეშვეობით წარმატებული ადამიანები გვყავდეს.

პროფესიული განათლება – სწორი გზა დასაქმებისა და წარმატებისთვის

პროფესიული განათლების ახალი კანონის მიღებამ და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის კუთხით გაწეულმა ძალისხმევამ მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ახალი შესაძლებლობები გააჩინა. ჟურნალ „პროფესიული განათლების“ შეკითხვებს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი ია ერაძე პასუხობს.

საქართველოში კერძო კოლეჯების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება საჯარო კოლეჯების რაოდენობას. შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია?

– პროფესიული განათლების ახალი კანონის მიღებამ ქვეყანაში და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის კუთხით გაწეულმა ძალისხმევამ გააჩინა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ისეთი შესაძლებლობები, რომლის მსგავსი ბოლო სამი ათწლეული არ ყოფილა. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა მნიშვნელოვანი რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტები სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს შორის შემცირდა რაოდენობრივი და გეოგრაფიული დაფარვის თანაფარდობა. 2021 წლის აპლიკანტთა რეგისტრაციის შედეგად ირკვევა, რომ პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია.

როგორია გეოგრაფიული დაფარვა და ძირითადად რა პროფესიებს სთავაზობენ კერძო კოლეჯები?

– კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი კოლეჯები 2010 წლიდან წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში (აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, თბილისი). ისინი ახორციელებენ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების, IT-მიმართულების, მშენებლობისა და წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებით. კერძო კოლეჯების ასოციაციის საიტზე http://www.ccol.ge/ პარტნიორი კოლეჯების სიაში დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია კოლეჯების გეოგრაფიული მდებარეობისა და პროფესიების შესახებ.

ამ ბმულზე https://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo შეგიძლიათ ნახოთ სახელმწიფოს მიერ ავტორიზირებული როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო კოლეჯების ჩამონათვალი. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობის მსურველს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, ავტორიზირებულია თუ არა კონკრეტული კოლეჯი. ავტორიზაცია ნიშნავს იმას, რომ პროფესიული კოლეჯი ახორციელებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული და უფლებამინიჭებული.

როგორია წელს მომართვიანობა და რომელ პროფესიებზეა მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალი?

– ამ ეტაპზე 2021 წლის აპლიკანტთა მიღების ინტესიური სამუშაოები მიმდინარეობს. რეგისტრაციის ეტაპიდან ირკვევა, რომ კერძო დაწესებულებებში განსაკუთრებული მოთხოვნაა IT, ჯანდაცვის და წარმოების მიმართულების პროგრამებზე. პროფესიების პოპულარობას განაპირობებს ორი ფაქტორი: პირველი არის დასაქმებისა და სამუშაო ანაზღაურების, ან თვითდასაქმების შესაძლებლობები და მეორეა სწავლის ხარისხი. მოქალაქე, ახალგაზრდა როდესაც ირჩევს კონკრეტულ პროფესიას, რამდენიმე პირობას ითვალისწინებს, პირველ რიგში კი იმას, თუ რამდენად მოთხოვნადია კონკრეტული პროფესია; ასევე – არის თუ არა შესაძლებელი მისთვის, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მიიღოს განათლება და ექნება თუ არა პროფესიის შესწავლის შედეგად დასაქმების ან

ია ერაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

თვითდასაქმების შესაძლებლობა. ახალგაზრდები ამ ინფორმაციას იღებენ ინტერნეტიდან ან სანაცნობო წრიდან, მათგან, ვინც მიიღეს გამოცდილება პროფესიულ განათლებაში და ამით წარმატებას მიაღწიეს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და კმაყოფილი და წარმატებული კურსდამთავრებულები. მაგალითად, თქვენი ჟურნალი შესაძლებელს ხდის სანდო ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის.

კერძო კოლეჯში ყველა პროფესია ფასიანია? დაახლოებით რამდენია საშუალო გადასახადი და სწავლის ხანგრძლივობა?

– სწავლის დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და საბიუჯეტო თუ კერძო ფინანსების გამოყენების ან თანადაფინანსების შესაძლებლობებს იძლევა. კერძო დაწესებულებებში ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად მიჩნეული პროგრამები. კერძო დაწესებულებები ახორციელებენ ისეთ პროგრამებსაც, რომლებიც არ არის მიჩნეული სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტებად და არ ფინანსდება. ასეთ პროგრამებზე, 2021 წლის მიღებიდან გამომდინარე, აპლიკანტთა რეგისტრაციები წინა წლებთან შედარებით რადიკალურად შემცირებულია. კოლეჯების მიერ განხორციელებული პროგრამების ხანგრძლივობა 1-დან 3 წლამდეა და საშუალო წლიური გადასახადი 2000-დან 2500 ლარამდე მერყეობს.

რა სურს ბიზნესს, რას ითხოვს ის პროფესიული კოლეჯებისგან? როგორ უნდა გაიზარდოს ნდობა კოლეჯებსა და დამსაქმებლებს შორის?

– ბოლო წლებში პროფესიულმა განათლებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. დღეისთვის, შეიძლება ითქვას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ყველაზე ახლო მდგომი განათლების საფეხურია. კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი კოლეჯები 500-ზე მეტ ბიზნეს-სუბიექტთან თანამშრომლობენ. შრომის ბაზრის მოთხოვნამიწოდების ბალანსის უზრუნველსაყოფად ასოციაცია თანამშრომლობს არაერთ ბიზნეს გაერთიანებასთან. შეგვიძლია წარმატებული თანამშრომლობის მრავალი მაგალითის მოყვანა. თუმცა ბიზნესთან თანამშრომლობის კუთხით ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები. საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებელ კომპანიებს შორის უნდობლობის დაძლევის ერთ-ერთ უმთავრეს გზად მიგვაჩნია საკვალიფიკაციო კომისიებში ისეთი ბიზნეს-სუბიექტების ჩართვა, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში.

ბიზნესს სურს, მიიღოს პროფესიის მცოდნე, პასუხისმგებლიანი, ინოვაციური და განვითარებაზე ორიენტირებული კადრები, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბიზნესის განვითრებაში.

რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს კერძო კოლეჯს?

– კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების უპირატესობაა ის, რომ ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, მოქნილი მმართველობითი სტრუქტურებით, თავად ქმნიან მმართველობის სტილს, ფასეულობებსა და ღირებულებებს. მიგვაჩნია, რომ უნდა ვისაუბროთ არა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლზე, არამედ იმ გარეფაქტორებზე, რაც შემაფერხებელია დაწესებულებების განვითარებისთვის. კერძოდ, არაკონკურენტული გარემო, საგრანტო პროექტებში მონაწილეობის შეზღუდვა, არსებული დაფინანსების მოდელი, რეგულაციების მიღმა უცხო ქვეყნის არაავტორიზებული სასწავლებლების ფუნქციონირება. მოუგვარებელია პროფესიული კვალიფიკაციით კურსდამთავრებულთა სათანადო პოზიციებზე დასაქმების საკითხი. აღსანიშნავია პროფესიული განათლების დაბალი პოპულარიზაციაც.

GM აკადემია, რომელიც თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს

მორენა ტყემალაძვილი

GM აკადემია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ სასწავლებელია, რომელიც ერთი წლის წინ კომპანიაში დასაქმებულთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. აკადემიის მიზანია, გადაამზადოს და კვალიფიკაცია აუმაღლოს კომპანიის საწარმოს თანამშრომლებს და შექმნას ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ტექნოლოგიურ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი. აქ საწარმოო მიმართულებით სწავლება მიმდინარეობს, თუმცა აკადემიის ამოცანა ადმინისტრაციული და შუა რგოლის მენეჯერების პროფესიული და ტექნოლოგიური უნარების გაუმჯობესებაცაა.

„ჩვენი ამოცანაა, თანამშრომლებს შევუქმნათ ისეთი გარემო, რომელიც ორიენტირებულია როგორც პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, ასევე პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. სამთო მოპოვების საქმიანობიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად ვლინდება ვიწრო და დარგობრივი სპეციალისტების სიმწირე, რაც ჩვენთვის ძალიან პრობლემურია. მას შემდეგ, რაც ამ კომპანიაში დავიწყე მუშაობა, მივხვდი, რომ GM აკადემია აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი დიდი კომპანიისთვის, როგორიც „ჯორჯიან მანგანეზია“ და მისი არსებობა მნიშვნელოვანია ასევე რეგიონისა და მისი განვითარებისთვის“, – **გვეუბნება „ჯორჯიან მანგანეზის“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი მარიამ ქუთათელაძე.**

GM აკადემია უზრუნველყოფს პრაქტიკაზე დაყრდნობით სწავლებასა და უწყვეტ განათლებას თანამშრომლებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე და საშიშ პირობებში ახორციელებენ საკუთარ მოვალეობას. აკადემიის მიზანია, გამოზარდოს ისეთი პროფესიული და დარგობრივი მიმართულებების სპეციალისტები, რომლებიც საწარმოო საქმიანობის მოთხოვნებს უპასუხებენ. პროფესიული გადამზადების საფუძველზე, შუა რგოლის მენეჯერები და სხვა სპეციალისტები შეძლებენ სამთო საწარმოში ძირითადი სამუშაოების შესრულებას და მათზე კონტროლის განხორციელებას, მუშაობის პროცესში წარმოქმნილი შეუსაბამობების დროულ აღმოჩენასა და მათ აღმოფხვრას, რაც დასაქმებულებს საწარმოო ტრავმებს აარიდებს.

კომპანია „ჯორჯიან მანგანეზმა“ კადრების პროფესიული განვითარების სტრატეგიაც შეიმუშავა იმისათვის, რომ თანამშრომლებმა უფრო ეფექტურად აიმაღლონ პროფესიული უნარები და მიიღონ ახალი ცოდნა და გამოცდილება. პროექტის მთავარი სტრატეგია – კომპანიის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების გეგმა 2021 წლის დასაწყისში ზედმიწევნით გაიწერა და შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანი გარემოდან გამომდინარე, პერიოდულად იხვეწება. კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის კოორდინირებით, შეიქმნა სამთო-მოპოვებითი საქმიანობის 6 ძირითადი საწარმოო დარგის პროფესიული მოკლევადიანი (3-4-თვიანი) კურსები, რომლებიც გულისხმობს შემდეგ პროფესიებში გადამზადებას: გვირაბგამყვანი, ამფეთქებელი, ელმავლის მემანქანე, ქვესადგურის მორიგე, ვენტილატორის მემანქანე, სკრეპერის მემანქანე.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პროფესიაში თანამშრომელთა გადამზადებას GM აკადემია მაღალი სტანდარტების მიხედვით ახორციელებს, რისთვისაც შეიმუშავა ექვსივე პროფესიის დარგობრივი პროგრამების სილაბუსები.

„ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია იმ თანამშრომლების განვითარება, რომლებიც დასაქმებულები არიან რთულ და საფრთხის შემცველ პირობებში.

ჩვენ მათ ვასწავლით პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით და შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების ძალიან მაღალ სტანდარტებს ვნერგავთ. როდესაც GM აკადემიას ვაარსებდით, ერთ-ერთ მთავარ მიზნად განისაზღვრა სამთო მოპოვებით სფეროში დაგვეარსებინა ისეთი პროფესიული სასწავლებელი, რომელიც საშუალებას მისცემდა როგორც ჩვენს თანამშრომლებს, ასევე ადგილობრივ

ვაზოს აკადემიის სტუდენტებს. ჩვენ ვიმყოფებით მუდმივი განვითარების რეჟიმში“, – **ამბობს მარიამ ქუთათელაძე, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული GM აკადემიის შექმნის პროცესში და დღეს უკვე წარმატებული პროექტით ამაყობს.**

ჭიათურაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, პროფესიული სასწავლებელი „პროფიუნიტი“ ფუნქციონირებს.

სასწავლო პროცესში ჩართული არიან კომპანიის სამთო გამამდიდრებელი დარგის სპეციალისტები, სამთო ტექნიკოსები და მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტები. აკადემიის პედაგოგიური პერსონალი კომპანიის ის თანამშრომლები გახლავთ, რომლებსაც რამდენიმე ათეულწლიანი სამუშაო გამოცდილება აქვთ და ახლა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას კვალიფიციური ახალი თაობის გამოზრდას ახმარენ.

მარიამ ქუთათელაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

მაცხოვრებლებს, დაუფლებოდნენ მათთვის საინტერესო პროფესიებს და შეესწავლათ თანამედროვე მიდგომები და ტექნოლოგიური სიახლეები. ვინაიდან ეს არის ინოვაციური პროექტი სამთო მოპოვების სფეროში, GM აკადემია ყოველდღიურად ცდილობს, მეტი საინტერესო პრაქტიკა და სიახლეები შესთა-

პროფესიულ სასწავლებელსა და კომპანია „ჯორჯიან მანგანეზს“ მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს საწარმოში დასაქმებულთა გადამზადების კუთხით. „პროფიუნიტში“ 11-თვიან კურსზე მაღაროელები ეუფლებიან სამთო ტექნიკოსის, სამთო ელექტრომექანიკოსის, მყარი წიაღისეულის გამამდიდრებლის სპეციალობებს.

GM აკადემიისა და „პროფიუნიტის“ საერთო ძალისხმევით შესაძლებელი გახდა აკრედიტაციის მოპოვება სამ მიმართულებაზე: გვირაბგამყვანი, ამფეთქებელი და ელმავლის მემანქანე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპანიის თანამშრომლები გაივლიან არა მარტო სწავლების კურსს, არამედ იქნებიან სერტიფიცირებული პროფესიონალებიც.

მხოლოდ „პროფიუნიტი“ არ არის ის ადგილობრივი სასწავლებელი, რომელთანაც GM აკადემია თანამშრომლობს თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების კუთხით. კიდევ ერთი პროფესიული სასწავლებელი ზესტაფონში მდებარეობს და ეს „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯია“, რომელიც ორიენტირებულია დარგობრივი მიმართულებების სწავლებაზე. ეს მიმართულებებია: რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა, რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი, რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა, ლოკომოტივის მართვა, სავაგონე მეურნეობა, მეჩარხე, სარკინიგზო ტექნიკური ნახაზების მხაზველი, სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე.

„ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და სახელმწიფო დაფინანსებით სრულიად უფასოდ გადავამზადებთ ჩვენს ამფეთქებლებს. ეს საკმაოდ საშიშია პროფესიაა და ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანების ახლებური ცოდნით მომზადება, იმისთვის რომ ამ პროფესიაში იმუშაონ. ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ტექნიკურ უნივერსიტეტთან და გვეყოლება სერტიფიცირებული, პრაქტიკოსი ინსტრუქტორი. უშუალოდ სამუშაო ადგილზე მოხდება ჩვენი ამფეთქებლების კვალიფიციური ინსტრუქტაჟი. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენი თანამშრომლები ჩართული არიან მასში“, – სასწავლო პროცესის შესახებ გეგმებს გვაცნობს მარიამ ქუთათელაძე.

იმისათვის, რომ ასეთ რთულ პროფესიებში ახალი კადრები მოეზიდა და დაეინტერესებინა, GM აკადემიამ სრულიად შეცვალა სასწავლო მეთოდიკა, სასწავლო მოდულები, კალენდარული გეგმის წყობა, შეიმუშავა პროფესიული კურიკულუმი. სასწავლო პროცესის ცვლილებებმა სწავლება უფრო მოქნილი და თანამედროვე გახადა. მოკლევადიანმა კურსებმა ახალგაზრდების დიდი დაინტერესება გამოიწვია და წელს პირველად მსურველთა რაოდენობამ გადაჭარბა ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობას. GM აკადემიაში ფიქრობენ, რომ ეს შედეგი სწორედ სასწავლო მეთოდიკის რეფორმის გამო მიიღეს. როგორც ჩანს, მსურველებს მოკლევადიანი კურსები ზუსტად იმის საშუალებას აძლევს, პროფესიული განათლება მოკლე დროში მიიღონ.

მარიამ ქუთათელაძეს ვკითხეთ, როგორ შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს მოთხოვნა და დაინტერესება ამ პროფესიების მიმართ, რათა ისინი უფრო პრესტიჟული გახდეს. მან გვიპასუხა, რომ GM აკადემია ინტენსიურად ცდილობს თანამშრომლობას როგორც ქართულ, ასევე უცხოურ პროფესიულ სასწავლებლებთან, უნივერსიტეტებთან. აკადემიის სამომავლო გეგმაა, ჩამოიყვანოს უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც კომპანიის თანამშრომლებს ადგილზე ჩაუტარებენ პრაქტიკულ სწავლებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ GM აკადემია მხოლოდ საკუთარ თანამშრომლებს არ სთავაზობს პროფესიულ გადამზადებას. რეგიონის მცხოვრებლებსაც ექნებათ საშუალება, ისწავლონ და განვითარდნენ სასურველი პროფესიის კუთხით, სწავლებას კი კომპანია 100%-ით დააფინანსებს.

GM აკადემიას წლის ბოლომდე განსახორციელებელი პროექტების მთელი ნუსხა აქვს. აკადემიაში გეგმავენ ელექტრიკოსების გადამზადებას, სერტიფიცირებას და შესაბამისი თანრიგების მინიჭებას; აირმჭრელებისა და აირშემდუღებლების სერტიფიცირებას; შიდა ორგანიზაციულ ტრენინგებს ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის; სასწავლო ოთახების ბიბლიოთეკებით აღჭურვას და ა.შ.

პროფესიული უნარების დახვეწა და გაუმჯობესება, საწარმოში დასაქმებულთა შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა, საწარმოო სისტემაში ორიენტაციისა და თავის დამკვიდრებისთვის თანამშრომელთა სათანადო ცოდნით აღჭურვა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარება GM აკადემიის თავდაპირველი მიზნები იყო. საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ GM აკადემია დასახული მიზნებით სვლას აგრძელებს და თავდაპირველ ჩანაფიქრს არ ღალატობს.

აქ შეიძლება იყოს
თქვენი რეკლამა

პროფესია – შეძენილი (დასწავლის შედეგად მიღებული) უნარებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა სპეციფიკური სამუშაოს შესასრულებლად და რომელიც ინდივიდს ათვისებული აქვს. ცოდნის, უნარ-ჩვევათა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შეძენა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად.

განმარტებითი ლექსიკონი.
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი,
თბილისი, 2008

პროფესია – ძირითადი საქმე, შრომითი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ მომზადებას და წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს.

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი
– გაეროს განვითარების პროგრამა,
თბილისი, 2004